საერთო გაზეთი

№27 (532) • 24 ივლისი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ბიძინა ივანიშვილი მართლა ფეოდალი რომ ყოფილიყო, ესენი ან მიწაში იქნებოდნენ, ან ციხეში

ბოროტების „გამპრავებლები“ და „ცხონებულნი“

ქურდის ქურდი ცხონდაო - ამბობს ანდაზა
და თუ ეს სწორია, მაშინ „რუსთავი-2-ის“ საქმეში
იმდენი წართმევა-წაგლეჯვა-გაყიდვა-გადაყიდვაა,
ოცამდე ქურდი მაინცაა ცხონებული...

მამუკა არეშიძე:
თუ ქვეყანას არ აქვს იდეოლოგია, ის სახელმწიფოდ ვერ იქცევა

კახა კუკავა:
საქართველო დღესაც იმავე რეჟიმში აგრძელებს ცხოვრებას, რომელიც 1992 წლის 6 იანვარს ჯაბა იოსელიანმა და თენგიზ კიტოვანმა დაამყარეს ედუარდ შევარდნაძესთან ერთად

მილიონერთა მაფია, რომელიც დღეს ქვეყნის ეკონომიკის 90%-ს განაგებს, 1992-93 წლებში „კანონიერი ქურდის“ მიერ კუპონებად გაჩუქებული სახალხო საკუთრების მითვისებით გახდა კაპიტალისტი

გაზეთი გაზეთში!

„საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია“ უნდა იყოს ერის სულიერი და ზნეობრივი ფასეულობების, ტრადიციების დაცვის ცენტრი, უძველესი მწერლობის და მწიგნობრობის სამართალმემკვიდრე – ფარნავაზიდან დღემდე... და უფრო უწინარეს დროიდან: შუმერებიდან აიეტამდე...“ – ეს წერია მის წესდებაში!

გაიოზ მამალაძე:
2020 წელს პროპორციული არჩევნებით საფუძველი ჩაეყრება ევროპული ყაიდის ქართულ სახელმწიფოს

ვინ გამოაცხადა 1990 წლის 19 აგვისტოს საქართველო ოკუპირებულ და ანექსირებულ ქვეყნად?

ბოროტების „გამპრავებლები“ და „ცხონებულნი“

ქურდის ქურდი ცხონდაო – ამბობს ანდაზა და თუ ეს სწორია, მაშინ „რუსთავი-2-ის“ საქმეში იმდენი წართმევა-წაგლეჯვა-გაყიდვა-გადაყიდვაა, ოცამდე ქურდი მაინცაა ცხონებული...

ვახტანგ ხარჩილავა:

როცა ჟურნალისტი ტყუის, როცა ჟურნალისტი თვალთმაქცობს, როცა ჟურნალისტი ფარისევლობს, ის უკვე არ არის ჟურნალისტი.

„რუსთავი-2“-ის ჟურნალისტები ტყუიან, თვალთმაქცობენ, ფარისევლობენ, თორემ, ვინ ვინ და, მათ ყველაზე კარგად არ იციან, ვინ არის სინამდვილეში ნიკა გვარამია, ვის და რას ემსახურებიან და რა ჭაობში სხედან მთელი თხუთმეტი წელიწადია.

როგორც ფილოსოფოსნი ამტკიცებენ, ეშმაკი სულაც არ არის რაღაც აბსტრაქტული, უფორმო და უსხეულო რამ — ეშმაკს აქვს იმ პიროვნების კონკრეტული სახე და ფორმა, რომელშიც ის ჩასახლდება ხოლმე.

კარგად დააკვირდით, ძვირფასო ჟურნალისტებო, თქვენი ყოფილი გენდირექტორის ნიკა გვარამიას ფიზიონომიას — ეშმაკი ზის მასში, რომელსაც იმდენად ჰყავს დაპყრობილ-დამონებული, რომ მის პორტრეტს თამამად შეიძლება მიაწეროთ: **ეს არის ეშმაკის პორტრეტი!**

დემოკრატიის და სიტყვის თავისუფლებას ვემსახურებითო, რომ ბრძანებთ, სინამდვილეში ეშმაკს ემსახურებით თქვენ.

თუმცა კონკრეტულად მხოლოდ ერთ ეშმაკს კი არა, ეშმაკების მთელ ბანდას ემსახურებით თქვენ, ბანდას, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ ჰქვია სახელად და რომლის სათავეში ეშმაკების უსტაბაში საკაშვილი დგას.

თქვენი დამოუკიდებლობა და ობიექტურობა მთავრდებოდა იქ, სადაც საკაშვილის და მისი ბანდის ინტერესები იწყებოდა და ასე გრძელდებოდა ეს 2005 წლიდან 2019 წლის 18 ივლისამდე.

მთელი 14 წელი საკაშვილის მონობაში — ეს უმძიმესი ხვედრია.

2019 წლის 18 ივლისი — ეს „რუსთავი-2“-ის საკაშვილის მონობიდან გათავისუფლების ისტორიული თარიღია.

წესით და რიგით, „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტებისთვის 18 ივლისი დიდი დღესასწაული, დიდი შვების დღე უნდა იყოს და ეს ასეც იქნება იმ ჟურნალისტებისთვის, ვისაც თავმოყვარეობა და სინდის-ნამუსი შერჩენია, თუმცა „რუსთავი-2“-ში არიან ისეთებიც, რომლებიც აუცილებლად უკან უნდა მიჰყვნენ გვარამიას.

ეს ის კატეგორიაა ადამიანებისა, რომლებიც ამ 14 წლის განმავლობაში „აპრავებდნენ“ და ბრჭყვიალა ფერებში ფუთავდნენ „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩადენილ არაერთ შემზარავ ბოროტებას.

ბოროტების „გამპრავებლები“ არიან ესენი, ბოროტების გამპატიოსნებელ-შემლამაზებლები, ბოროტების ვიზაჟისტ-გრიმიორები, ჟუსნალისტების სტატუსით და, აქედან გამომდინარე, „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულის თანამონაწილენი, რომლებმაც, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ისევე უნდა აგონ პასუხი მართლმასჯულების წინაშე, როგორც ამ დანაშაულობათა უშუალოდ ჩამდენებმა.

დემოკრატიის, გამოხატვის თავისუფლების, სიტყვის თავისუფლების ნიღაბს ამოფარებული იდეოლოგიური „დესანტნიკები“ ქვეყნის ნამდვილი მტრები, ცდილობენ, დაამკვიდრონ შეხედულება, რომ ჟურნალისტი, რაც არ უნდა თქვას მან და რაც არ უნდა მოიმოქმედოს, ხელშეუხებელია, „კანონგარეშეა“, მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მის ქმედებებს.

ასე, მაგალითად, ჟურნალისტ გიორგი გაბუნიას წინასწარ დაგეგმილ მიზანმიმართულ პროვოკაციულ გამოხდომას რუსეთის პრეზიდენტის მისამართით, კინაღამ საბედისწერო შედეგები მოჰყვა საქართველოსთვის.

რით აგო პასუხი გიორი გაბუნიამ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ამ განსაკუთრებით დამაზიანებელი პროვოკაციის გამო?

რით აგო პასუხი და არაფრით — გაბუნია ორთვიან უხელფასო შვებულებაში გაუშვეს, რომ კარგად დაისვენოს და ახალ-ახალი პროვოკაციებისთვის უფრო კარგად მოემზადოს, რომ საქართველოს ახალი უბედურება დაატეხოს თავს.

„რუსთავი-2“-ის გენდირექტორი ნიკა გვარამია, ჟურნალისტის ამპლუაში, ქართული სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ და ძებნაში მყოფ მიხეილ საკაშვილთან ერთად, ფაქტობრივად, პირდაპირ ღია ეთერში, ღიად და დაუფარავად გეგმავდა ისეთი სახის „ღონისძიებებს“, რომლებიც ძალიან ახლოს იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან, მაგრამ გაჟურნალისტებული „ჟულიკისთვის“ არც ამის გამო მოუთხოვია ვინმეს პასუხი.

ნებისმიერ, სამართლებრივად მოწესრიგებულ სახელმწიფოში, სადაც კანონი კანონობს, გვარამიას და გაბუნიას, მათ მიერ ჩადენილი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების გამო, დიდი ხნით უკრავდნენ ციხეში თავს, მაგრამ საქართველოში მსგავსი არაფერი მოხდარა — საქართველოში დემოკრატიაა!

კი, მაგრამ, ისეთი რა განსაკუთრებული დემოკრატიაა ამ საქართველოში, რომ დამნაშავეებმა დანაშაულისთვის პასუხი არ აგონ?

„რუსთავი-2“-ის საქმიანობა — ეს იყო ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ძირგამომთხრელი, მავნებლური, დესტრუქციული, დამანგრეველი საქმიანობა, რომელსაც წარმატებით ხელმძღვანელობდა პატივცემული გვარამია.

ვფიქრობ, გვარამიას საქმე გენდირექტორობიდან მისი გადაყენებით არ უნდა დამთავრდეს!

სათანადო ორგანოებმა აუცილებლად ძირფესვიანად უნდა შეისწავლონ ქართულ სინამდვილეში ბოლო თხუთმეტი წლის პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და გაქნილი ავანტიურისტის ნიკა გვარამიას საქმიანობის დეტალები.

თუ ეს მოხდება, დარწმუნებული ვარ, საზოგადოება გაოცდება იმ შავბნელი საქმეების მასშტაბებით, რომლებიც ამ კაცს აქვს ჩადენილი.

ჟურნალისტთა ერთი ჯგუფი, მდედრობითი სქესის ეშმაკის, ნანუკა ჟორჟოლიანის მეთაურობით, არხის ახალი ხელმძღვანელობისგან ითხოვს ისეთი შრომითი კონტრაქტების გაფორმებას ჟურნალისტებთან, რომლებიც მათ უფლებას მისცემს, ამიერიდანაც შეუზღუდავად აკეთონ ის, რასაც აქამდე აკეთებდნენ.

რა უნდათ ამათ, ის ხომ არა, რომ კონტრაქტში ჩაუწერონ: უფლება აქვთ, დაუბრკოლებლად ანგრიონ ქართული სახელმწიფო, ხელი შეუწყონ დესტაბილიზაციას, ქაოსის, სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივებას, პირდაპირ ღია ეთერში დაგეგმონ და დაამუშაონ სახელმწიფო გადატრიალებების სცენარები, ცილი დასწამონ, აგინონ, დაემუქრონ, დასცინონ ადამიანებს, შეურაცხყოფა მიაყენონ საზოგადოებას, ძირი გამოუთხარონ ქართულ სახელმწიფოებრიობას და ამ „კეთილი“ და „მამულიშვილური“ საქმეებისთვის პასუხი არავინ მოსთხოვოს.

და ბოლოს: ქურდის ქურდი ცხონდაო - ამბობს ანდაზა და თუ ეს ანდაზა სწორია, მაშინ „რუსთავი-2-ის“ საქმეში იმდენი წართმევა-წაგლეჯვა-გაყიდვა-გადაყიდვაა, ოცამდე ქურდი მაინცაა ცხონებული...

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული არეკლილი მასალები.

ირაკლი ოქრუაშვილი ან დებილია, ან „ნაცმოძრაობის“ ბანაკში შეგზავნილი თვითმკვლელი „ტერორისტი“, რომელსაც „ნაციონალების“ და სააკაშვილის პოლიტიკური ლიკვიდაცია აქვს დავალებული

„ბობოლა“ ნაცი, სააკაშავილის სტაჟიანი თანამებრძოლი, მრავალ თანამდებობაგამოცვლილი, ერთ დროს ბელადისგან „შერისხული“ და ნაემიგრანტალი, „ქართული ოცნების“ მიერ შეწყალებული, ახლა უკვე „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერის ფუნქციაშეთავსებული ირაკლი ოქრუშვილი, ბოლო ხანს მეორედ ცდილობს „მაშველ რგოლად“ მოევლინოს ნაციონალების რუპორის, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის „მრავალტანჯულ“ კოლექტივს. ოქრუაშვილს „გადამრჩენლობის“ სურვილი მაშინ შემოაწვება ხოლმე, როცა ტელევიზიის კანონიერი მფლობელისთვის დაბრუნების საკითხი სერიოზულად დგება. როგორც მის მიერ ნოდარ მელაძისთვის რამდენიმე დღის წინ ჩაბარებული „ტელეაღსარებიდან“ ირკვევა, ირაკლი-ბატონს „გადამრჩენელის“ ფუნქცია შორეულ 2004 წელსაც შეუსრულებია, ანუ იმ პერიოდში, როცა გენპროკურორისა თუ შს მინისტრიეს თანამდებობა რომ ეკავა. სულზე მივუსწარი, თორემ „გამარჯვებული ხალხის“ ტელევიზიას ამერიკული „ნიუს კორპი“ შეიძენდა, რომლის უკანაც ბადრი პატარკაციშვილი იდგაო. ქართულმა სასამართლომ (სამივე ინსტანცია) „რუსთავი-2“ ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშს რომ დაუბრუნა, პირველად მაშინ გამოხტა ოქრუაშვილი ამ ტელევიზიის ეთერით, „რუსთავი-2“ რეალურად მე მეკუთვნის, რისი დამადასტურებელი ხელშეკრულებაც არსებობსო. ამ „აღიარების“ შემდეგ გაჩენილ კითხვას, თუ მართლა თქვენ გეკუთვნოდათ პატივცემულო, აქამდე რატომ არ ამხელდითო, ოქრუაშვილმა ფრიად „შთამბეჭდავი“ და „არგუმენტირებული“ პასუხი გასცა, საქართველოში რომ დასრულდებოდა სასამართლო დავა, მერე ვაპირებდი ამის გაცხადებასო, პარალელურად თურმე არჩევნების პროცესის დამთავრებასაც ელოდებოდა, რომ სიტუაცია არ გართულებულიყო. მაშინ კი ვიფიქრე, ოქრუაშვილს, როგორც ქართლელები იტყვიან, სხვისი ხელით უნდოდა ნარის გლეჯა, თან „კეთილშობილური“ ზრახვით, რომ მას „რუსთავი-2“-ის მესაკუთრეობა კი არ უნდა, უბრალოდ თავისუფალ სიტყვას იცავს, ჩემი თუ არ გჯერათ, აგერ კუთვნილი წილის (როცა დავიბრუნებ) 80%-ს ამ ტელევიზიის ათ ყველაზე „გამორჩეულ“ ჟურნალისტს ვჩუქნიო.

2007 წლის შემოდგომაზე ეს „უშიშარი“ რომ დაიჭირეს და დღენახევარში „აღიარებითი“ ჩვენება და მონანიება „გამოაცხო“, ეტყობა სააკაშვილის კინორეჟისორებმა რამე „კომპრომატი“ შეუქმნეს და აშანტაჟებენ, იმიტომაც ჩამოქანდა „ოპერატიულად“ საფრანგეთიდან „სამართლიანობის აღდგენის“ სურვილით შეპყრობილი და „ფერად-ფერად“ განცხადებებს აკეთებსო, რისი „პიკიც“, ვფიქრობთ, შაბათის „კურიერში“ გასული ოქრუაშვილის ინტერვიუ იყო. ირაკლი ოქრუაშვილის პროფესიონალიზმი იურისტობასა თუ პოლიტიკოსობაში ყოველთვის ძალზე გვეეჭვებოდა, მაგრამ მისი



ბოლო „ტელეაღსარება“, სიბრიყვის კლასიკურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. ეს იყო ნაციონალების სისხლიანი რეჟიმის მაღალი რანგის ჩინოვნიკის ფაქტობრივად „აღიარებითი ჩვენება“, რომელმაც საბოლოოდ გაშიფრა, ფარდა ახადა ნაცხელისუფლების „მოღვაწეობას“.

ჩემზე მუქარა რომ არ ჭრის, ეს თუ არ იცის ივანიშვილმა, ახლა კარგად გაიგოსო. ყველაზე დიდი კურიოზი აქ ის არის, რომ ამას ამბობს კაცი, რომელმაც ერთი დღე ვერ გაუძლო ციხეს, ლამის თვალცრემლიანმა დაიყარა თავზე ნაცარი, ორ დღეში კი ფულითა და სხვა „სიკეთეებით“ ბოლომდე დატვირთულმა თვითმფრინავით მოუსვა შუაგულ ევროპისკენ. ახლა ვინმემ არ თქვას ოქრუაშვილი იურისტობით ირჩენდა თავს მსოფლიოში ცხოვრების სიძვირით გამორჩეულ პარიზში. არ დაგავიწყდეთ იგი ოჯახით ცხოვრობდა პარიზულ აპარტამენტებში. 2004 წელს, როცა ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის შეძენა-გასხვისება მოხდა, ქიბარ ხალვაში თავისი ბიზნესწონადობით არაფერს არ წარმოადგენა, შესაბამისად „რუსთავი-2“-ს ვერცერთ შემთხვევაში და ვერასდროს ვერ შეიძენდა, ზურგი რომ არ ჰქონოდა. ეს ზურგი მე და ის პოლიტიკური გუნდი, ანუ ნაცხელისუფლება ვიყავით, რომელსაც მე წარმოვადგენდიო. ტელეკომპანიასთან დაკავშირებულ ყველა მოლაპარაკებას მე ვაწარმოებდი ეროსი კიწმარიშვილთან, რადგან ეროსისთან და მის პარტნიორებთან დავით დვალთან და ჯარჯი აქიმიძესთან, დიდი

ხნის საკმაოდ ახლო და საქმიანი ურთიერთობა მაკავშირებდაო, ამბობს ოქრუაშვილი, რომელსაც იმ პერიოდში საგამოძიებო-სამართალდამცავ სტრუქტურაში უმაღლესი თანამდებობა ეკავა და მისი საუბრის ტონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს ჩვეულებრივ ამბად მიაჩნია. დვალსა და აქიმიძეს არაერთხელ შევხვდი, ზოგჯერ სხვების, მათ შორის ჯემალ ინაიშვილის თანდასწრებით და ფულიც ამ უკანასკნელის ხელით გავუგზავნე მათ, რასაც ინაიშვილი ადასტურებს პროკურატურის გამოკითხვის ჩვენებაშიო.

ოქრუაშვილი აცხადებს, აქიმიძემ და დვალმა მაშინვე იცოდნენ ტელევიზიას მე რომ ვიფორმებდი. ქიბარ ხალვაშს, არცერთ მოლაპარაკებაში და არც ტელეკომპანიის მართვაში არ მიუღია აქტიური მონაწილეობა, ერთი თეთრი საკუთარი ფული არ გადაუხდია ტელეკომპანიაშიო.

აქაც ვერაფერს რომ ხედავს მიუღებელს, ეს ერთია, მაგრამ საიდან ჰქონდა საჯარო მოხელეს, თუნდაც მინისტრის მოადგილეს, იმდენი ფული, რომ „არანაკლებ“ თანხებს იხდიდა წილებში, მით უმეტეს იმ პერიოდში, როცა ჩინოვნიკების ხელფასის ოდენობა სამნიშნა ციფრს არ აღემატებოდა. ან რა ფული დააგროვა საადვოკატო მოღვაწეობით, რომ თავს ასეთი ფუფუნების უფლებას აძლევდა?

ოქრუაშვილი კი ბრძანებს, სამი თუ ოთხი თვის განმოვლობაში დავხურეთ ტელეკომპანიის მფლობელებთან გარიგება, ფული გადავუხადეთ და ამით ყველაფერი დამთავრდაო. „რუსთავი-2“ თურმე იმიტომ არ გააყიდინეს სხვაზე, რომ ეს ტელევიზია მაშინაც, დღესაც და მომავალშიც იქნება პოლიტიკის წარმართვის, თავისუფალი სიტყვის და აზრის ფლაგმანი, პატარკაციშვილს კი აბსოლუტურად განსხვავებული ინტერესები ჰქონდაო. პოლიტიკური ქამელეონის მეტი რა გვინახავს, მაგრამ ოქრუაშვილი ამ მხრივ „რეკორდსმენია“, ამ არსებას (რუსებს აქვთ ზუსტი შეფასება — ტვარ) „დაავიწყდა“ მეფის კარიდან დაფრენილი, ცხონებულ ბადრისთან რომ შეძვრა და ანტინაცურ განცხადებებს აკეთებდა, ისიც ხომ თქვა, ბადრის ლიკვიდაცია დამავალესო. არც ის გამიკვირდება „ტელეზვეზდა“ ჟორჟოლიანის ექს-თანამეცხედრე კოდუასივით (და კიდევ სხვა მრავალივით), ოქრუაშვილიც ნაცების შეგდებული ყოფილიყო ბადრი პატარკაციშვილთან. კითხვები გაჩნდებოდა თუკი ხელისუფლების წარმომადგენელი ვიქნებოდი „რუსთავი-2“-ის პირდაპირი მყიდველი, ამიტომ უნდა მომეძებნა ისეთი ადამიანი, რომელიც გარკვეული ბიზნესბეგრაუნდის მატარებელი იქნებოდა და მასზე გადამეფორმებინა ტელეკომპანიაო, აღიარებს ოქრუაშვილი, მოუძებნია ხალვაში და ახლა ამტკიცებს, ეგ კაცი ნომინალური პიროვნებააო. 2010 წელს გერმანიაში ხელშეკრულებაც გავაფორმეთ, სადაც ქიბარ ხალვაში აღიარებს, რომ „რუსთავი-2“ ჩემი საკუთრებააო.

ნაციონალების მმართველობისას რუსთაველის გამზირზე რომელი საპროტესტო აქციებიც ტარდებოდა, უმეტესწილად ჩემი დაფინანსებულიაო, „აღიარა“ ოქრუაშვილმა. მელაძემ ბოლოს როგორც იქნა დაინტერესდა ფულების, გარკვეული ნაწილის მაინც „წარმომავლობით“, მრავალ „ფუნქცია-პროფილიანმა“ ოქრუაშვილმა ძალზე საგულისხმო პასუხი გასცა, რომლითაც თუ შემდგარი სახელმწიფო გვქვია, აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ შესაბამისი სამსახურები. მელაძის კითხვაზე, არ ფიქრობთ, რომ ეს თქვენი განცხადება ერთგვარი აღიარებაა, რომ წინა ხელისუფლების მინისტრი ხალხს „აკაჩავებდა“, ვიღაცაზე ზეწოლა მოახდინა და მოატანინა ფული „რუსთავი-2“-ის შესაძენადო?

...ამ ტრაგიკომედიას რომ უყურებ, შეიძლება ერთ დასკვნამდე მიხვიდე: ირაკლი ოქრუაშვილი ან დებილია, ან „ნაცმოძრაობის“ ბანაკში შეგზავნილი თვითმკვლელი „ტერორისტი“, რომელსაც „ნაციონალების“ და სააკაშვილის პოლიტიკური ლიკვიდაცია აქვს დავალებული.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

სანამ 1992-93 წლების სახელმწიფო გადატრიალების გამოძიება და სამართლებრივი შეფასება არ მოხდება, საქართველო იმავე რეჟიმში აგრძელებს ცხოვრებას, რომელიც 1992 წლის 6 იანვარს ჯაბა იოსელიანმა და თენგიზ კიტოვანმა დაამყარეს შევარდნაძესთან ერთად

● საქართველომ უნდა იცოდეს, რომ ბოკერია, ბარამიძე, ბობოხიძე, ბერძენიშვილები, გაბაშვილი და სხვა მრავალნი 1991-92 წლებში ოკუპანტებთან თანამშრომლობდნენ.

● მილიონერთა მაფია, რომელიც დღეს ქვეყნის ეკონომიკის 90%-ს განაგებს, 1992-93 წლებში „კანონიერი ქურდის“ მიერ კუპონებად გაჩუქებული სახალხო საკუთრების მითვისებით გახდა კაპიტალისტი.

გვესაუბრება
პოლიტიკური ორგანიზაცია „თავისუფალი საქართველოს“ ხელმძღვანელი კახა კუკავა:

— კახა, რამდენიმე დღის წინ „ეროვნული მოძრაობის“ წარმომადგენლებს შეხვდი და პროკურატურას განცხადებით მიმართე: 1992–93 წლების სახელმწიფო გადატრიალების საქმეზე გამოძიება დაიწყოს.

— საზოგადოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს მოძველებული თემა, ისტორიაა, რასაც ვერანაირად ვერ დავეთანხმები ჯერ ერთი იმიტომ, რომ არსებობს დანაშაული, რომელზეც ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება. ყველამ კარგად ვიცით, რომ მეორე მსოფლიო ომი 70 წლის წინ დამთავრდა, მაგრამ დღესაც, სხვადასხვა ქვეყნებში, გესტაპოსა და მაშინდელი სადისტური რეჟიმის დამნაშავეებს აპატიმრებენ, რომელთაგან ზოგი, უკვე, 90 წელს არის გადაცილებული და სასამართლოზე აგზავნიან. რატომ იქცევიან ასე? — ეს ხალხი მათთვის საფრთხეს კი არ წარმოადგენს, არამედ საერთაშორისო სამართლის პრინციპია: ისეთი ტიპის დანაშაულზე რომელიც იმდენად მძიმეა, რომ მასზე არ შეიძლება ხანდაზმულობის ვადა გავრცელდეს, მუდმივად გრძელდება სამართალწარმოება მანამ, სანამ თუნდაც ერთი დამნაშავე მაინც ცოცხალია. იგივე ხდება ესპანეთში, სადაც ფაშისტური რეჟიმის წარმომადგენლებს სამაგიეროს დღესაც უზღვავენ. ასე მოხდა ჩილეშიც პინოჩეტის შემთხვევაში. ვფიქრობ, ჩვენს შემთხვევაში რაც მოხდა, ესეც არანაკლები დანაშაული იყო, მეტიც, ზოგიერთი პარამეტრით უფრო მძიმეც კი და ამ დანაშაულობების გამოძიება გვიანი არ არის. გარდა ამისა, განსხვავებით ფრანკოს ესპანეთსა და ნაცისტურ გერმანიაში ეს საქმეები მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანობის კონტექსტში განიხილება. თავისთავად, პინოჩეტის, ფრანკოს, ჰიტლერის რეჟიმებმა ამ ქვეყნებისთვის აქტუალობა დაკარგა, ხოლო ჩვენთვის 1991-92 წლების მოვლენებს აქტუალობა არ დაუკარგავს, რადგან დღესაც, პრაქტიკულად, სამხედრო ხუნტის სამართალმემკვიდრე პოლიტიკური ელიტა და დღესაც ჩვენს ქვეყანაში ის რეჟიმია, რაც 6 იანვარს თენგიზ კიტოვანმა და ჯაბა იოსელიანმა ედუარდ შევარდნაძესთან ერთად დაამყარეს. აქედან გამომდინარე, ძალიან ბევრ საკითხში, ჩვენ, ჩიხური ვითარება გვაქვს.

— კახა, ამ თემის ახლა წამოწევის მოტივაცია რამ მოგცა?

— ამ თემასთან დაკავშირებით პროცესებში 2004 წლიდან ვარ ჩართული, მას შემდეგ რაც პოლიტიკაში მოვედი და პარლამენტის წევრი გავხდი. ამ საკითხთან დაკავშირებით ინიციატივა ამავე წელს შევიტანე. მაშინ გარკვეული ნაწილი გავიტანეთ, მოხდა უკანონო პატიმრების რეაბილიტაცია. თუმცა, შემდგომში 2007 წელს, როცა ჩვენ პროკურატურას (მაშინ შევარდნაძე ცოცხალი იყო) ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ გამოძიების დაწყების მოთხოვნით მივმართეთ, ამ უწყებამ ეს საქმე დაბლოკა. თქვენ იცით, რომ 2007 წლიდან ქვეყანაში სამოქალაქო არეულობა დაიწყო და ეს პროცესი თავისთავად მინელდა და ხელისუფლებაც ჩვენთან აღარ თანამშრომლობდა. 2012 წელს ხელისუფლება შეიცვალა. 2013 წლის დასაწყისში, პატარა საინიციატივო ჯგუფთან ერთად, პროკურატურას მივმართე და გამოძიება კიდევ ერთხელ მოვითხოვეთ. მაშინ ჩვენ აქცენტი მშვიდობიანი მანიფესტაციების დარბევაზე გავაკეთეთ. ეს იყო 2013 წლის 2 თებერვალს, თუმცა, „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობამ ჩვენს მოთხოვნას წაუყრუა. ახლა, ამ რეალობაში, როდესაც ხელისუფლებამ 20 ივნისის მოვლენების შემდგომ ოპოზიციასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა და ტონალობა შეცვალა, იმედს ვიტოვებ ეს ნიშნავს შემდეგს: ოპოზიციის ინიციატივებს ხელისუფლების მხრიდან ყრუ კედელი არ უნდა დახვდეს. ერთ-ერთი პირველი ინიციატივა რაც ახლა ამ კონტექსტში გავაჟღერე, განპირობებულია შემდეგით: ხელისუფლებამ რიგ საკითხებზე ოპოზიციასთან თანამშრომლობის სურვილი გამოხატა, მაგრამ ჩვენ მარტო საარჩევნო კოდექსი და პროპორციული სისტემა არ გვაინტერესებს, არამედ სხვა საკითხებიც. ვფიქრობ, მოვძებნით ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გარკვეულ ფორმებსაც იმისათვის, რომ ამ საქმეზე ძიება დაიწყოს.

— ის ადამიანები, ვინც 1991-92 წლების მოვლენებს ხელს უწყობდნენ, ახლა რუსთაველზე თავად ხელმძღვანელობენ ანტიოკუპაციო აქციას. მაგალითად, ბოკერია 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობას ძირს უთხრიდა.

— არამარტო ბოკერია, იგივეს ემსახურებოდნენ ბარამიძე, ბერძენიშვილი, ბობოხიძე, გაბაშვილი. ჩამონათვალი საკმაოდ დიდია.

მათი უმრავლესობა პასუხისგებაში ვერ მიეცემა, ვერ დაისჯება მარტივი მიზეზის გამო: უკვე 27 წელია გასული, თუმცა როგორც აღვნიშნე: ხანდაზმულობა არ ვრცელდება მძიმე კატეგორიის დანაშაულზე როგორიც არის, უშუალოდ, გადატრიალების დაგეგმვა, ადამიანების მკვლელობა, წამება. სხვა დანაშაულობებზე ხანდაზმულობის ვადები გასულია. თუმცა, გამოძიების პროცესში, რა თქმა უნდა, დადგინდება, მაგალითად, რა როლს ასრულებდა მაშინ ბატონი ბერძენიშვილი, რომელსაც დღეს თავი პროდასავლურ ოპოზიციონერ ლიდერად მოაქვს, გაირკვევა რას აკეთებდა ჯაბა იოსელიანთან ერთად შტაბში. შეიძლება იგი ამის გამო პასუხისგებაში ვერ მიეცეს იმიტომ, რომ კონკრეტული დანაშაული, რაც მას ჩადენილი აქვს, უკვე, ხანდაზმულია, მაგრამ მთავარი ამოცანა, რასაც ქვეყანამ უნდა მიაღწიოს, შემდეგია: პირდაპირ უნდა ჩამოიწეროს ამ ლუსტრანტების სია ანუ, სია იმ ადამიანებისა, რომლებიც რუსეთის დაზვერვას-

თან ერთად, დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ, დანაშაულს ჩადიოდნენ. მათი სახელები და გვარები კახა კუკავამ, რომელიმე სხვა პოლიტიკოსმა ან ჟურნალისტმა კი არ უნდა გამოაცხადოს, ეს უნდა იყოს ოპიციალური დოკუმენტი — პროკურატურის მიერ დამტკიცებული სია, სადაც აღნიშნული იქნება: აი, ხალხი, აი, საქართველოს მოღალატეები, რომლებიც ჯაბა იოსელიანთან, თენგიზ კიტოვანთან, ბეპაევთან და სხვებთან ერთად დამოუკიდებელ საქართველოს ამხობდნენ.

— კახა, რამდენადაც მახსოვს, ზვიად გამსახურდია არ დაელოდა პროკურატურის გამოძიებას და პარლამენტს მოსთხოვა პოლიტიკური შეფასება მომხდარიყო.

— რა თქმა უნდა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო. დღეს არავინ საუბრობს: მაშინ რა მოხდა. ჩვენი ისტორიკოსების ნაწილი მავნებლები არიან. სკოლის სახელმძღვანელოებში ისწავლება, რომ გამსახურდიას დემოკრატიული ოპოზიცია დაუპირისპირდა და კონფლიქტები ამიტომ მოხდა. რა მოხდა სინამდვილეში? — დიდი წყვეტის შემდეგ ჩვენ, პირველად, დავიწყეთ დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობა, რაც მტკივნეული პროცესია. ახლაც ამ პროცესში ვართ. ზვიად გამსახურდია, რომელიც გარდა იმისა რომ პოლიტიკური ლიდერი იყო, გახლდათ სერიოზული მეცნიერი და ამ რისკებს სწორად აფასებდა. მან იცოდა, რომ ძალით მტერთან გამკლავება შეუძლებელი იყო. ამიტომ, მთელი ერის ფსიქოლოგიური და მორალური რესურსების მობილიზაციას ცდილობდა. მან, ამ თხოვნით, პარლამენტსაც მიმართა. იგი ყოველდღე იმეორებდა, აბსოლუტურ, ჭეშმარიტებას, რომ რისკი მართლაც არსებობდა. გამსახურდია სექტემბრიდან მოყოლებული იმეორებდა: ესენი საქართველოს მტრები არიან და ქვეყანას დააქცევენო. პარლამენტს პოლიტიკურ შეფასებასაც იმიტომ სთხოვდა, რომ გრძნობდა ქართული საზოგადოება ვერ ხვდებოდა იმ რეალურ რისკს, რაც გვემუქრებოდა. ქართველი ხალხი ამას აღიქვამდა როგორც გამსახურდიას და მისი ოპონენტების — ჭანტურიასთან, შევარდნაძესთან და სხვებთან პოლიტიკურ დაპირისპირებას. ჩემი აზრით, არც მაშინ და არც მას შემდეგ სრულად არ ყოფილა გაცნობიერებული ის, რომ ეს იყო საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლა.

— არცერთმა ხელისუფლებამ არ დაიწყო სამართლიანობის აღდგენა 1991–92 წლებიდან. როგორ ფიქრობ, რატომ იხევს უკან ხელისუფლება ამ თემასთან მიმართებაში?

— იმიტომ, რომ ძირითადი რეჟიმები, რაც მას შემდეგ იყო, ყველა, მომდევნოს მემკვიდრეა. ეროვნულ მთავრობასთან არცერთს არ აქვს არც იურიდიული და არც მენტალური ბმა. ამის მიზეზები კიდევ ბევრია. მაგალითად, დღეს საქართველოში არის მილიონერების კასტა. დაახლოებით, 200–300 მილიონერი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის 90%-ს განაგებს. როდის იშოვეს ფული ამ მილიონერებმა? — მილიონერები, რომლებიც დღეს ბანკებს, ავიაკომპანიებს, პორტებს, მსხვილ საწარმოებს ფლობენ, ყველა 1992-93 წლებში გახდა კაპიტალისტი. ჯაბა იოსელიანმა მათ ხელი მოუწერა და დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკა 5 კუპონად აჩუქა. მანამდე სწორედ ეს მაფია, ოპოზიციის სახით, პრივატიზაციას ითხოვდა. ზვიადის მიმართ ერთ-ერთი პირის ბრალდება შემდეგი იყო: რატომ არ ატარებდა იგი პრივატიზაციას. გამსახურდია პრივატიზაციის წინააღმდეგი არ იყო. უბრალოდ, იგი ხედავდა რა ფორმითაც მიდიოდა ეს პროცესი რუსეთში. მაგალითად, ჩვენთან, ამ ყაჩაღებს 500 მილიონ მანეთად შეფასებული ქონება — რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ჯიბეში 500 კუპონად ჩაუდეს. ზვიადი ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. ამ ხალხმა რომ დაინახა გამსახურდიასთან გარიგება არ შედგებოდა, „მხედრიონი“ დააფინანსეს. გეტყვით, რატომ მოვყევი ეს ისტორია — აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეები რომ გამოძიონ, დომინოს პრინციპით, უამრავი მოწმე ერთმანეთის წინააღმდეგ მისცემს ჩვენებას. მთელი ჩვენი ბიზნესი, ეგრევე, არალეგალური გახდება. დაწყებული „ბორჯომიდან“ დამთავრებული ყველა ბანკით — ყველაფერი ჯაბას და მხედრიონის დროს შექმნილი ბიზნესია. ასე, რომ ბევრია დაინტერესებული იმით, რომ ამ საქმის გამოძიება არ მოხდეს. ერთ-ერთია ჩვენი ბიზნეს-ელიტა, რომელიც დაინტერესებულია იმით, რომ ის პერიოდი, საერთოდ, კალენდრიდან ამოშალოს.

— კახა, წეღან ახსენე, ზოგ დამნაშავეს შეიძლება ხანდაზმულობის ვადა შეეხოსო. მაგალითად, ბოკერია ციხეში თუ ვერა, მინიმუმ პარლამენტში მაინც ხომ არ უნდა იჯდეს?

— კი ასეა. ეს დამნაშავეები შეიძლება სისხლის სამართლის წესით არ დაისაჯონ, მაგრამ პასუხი სხვაგვარად აგონ. ანუ, ვთქვათ, ბოკერიას შემთხვევაში პროკურატურა დაადგენს, რომ იგი გენერალ ბეპაევთან თანამშრომლობდა. ეს, უკვე, იურიდიული ფაქტი იქნება. გარდა ამისა, არსებობს აღმოსავლეთ-ევროპის ქვეყნების პრაქტიკა. მათ მიიღეს ლუსტრაციის კანონი და თქვეს: კა-გე-ბეს აგენტურა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლეთ, არ დასაჯოთ, მაგრამ სამაგიეროდ, აუკრძალეთ მაღალი თანამდებობების დაკავებაო. ვფიქრობ, შეიძლება ამ პრაქტიკაზე ჩვენც ვიფიქროთ.

— რას ელი პროკურატურისგან?

— დარწმუნებული ვარ მივაღწევთ იმას, რომ კიტოვანიც და მისი თანამზრახველებიც კანონის წინაშე პასუხს აგებენ. ეს მხოლოდ პროკურატურაზეც აღარ არის დამოკიდებული. ჩვენ, ამ მოთხოვნით, ფართომასშტაბიან კამპანიას გავაჩაღებთ. მივმართავთ გარკვეულ პროტესტს. ასევე, გამოვიყენებთ საპარლამენტო ტრიბუნას, რათა სასურველი შედეგი დადგეს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

განცხადება 1992-93 წლების სახელმწიფო გადატრიალების გამოძიების შესახებ საქართველოს გენერალურ პროკურორს ბატონ შალვა თადუმაძეს

ბატონო შალვა,

როგორც მოგეხსენებათ 1991–1993 წლებში საქართველოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენები დღემდე სამართლებრივი შეფასების გარეშეა დატოვებული. შევარდნაძისა და სააკაშვილის რეჟიმის პირობებში საქმის გამოძიებას ხელს უშლიდა პოლიტიკური ნების არარსებობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თავად ამ ტრაგიკული მოვლენების ფიგურანტები რჩებოდნენ მაღალ თანამდებობებზე და ხელს უშლიდნენ გამოძიებას.

2012 წლის 1-ლი ოქტომბრის შემდეგ ჩვენ კიდევ ერთხელ მივმართეთ პროკურატურას 2013 წლის 2 თებერვალს საქმის გამოძიების მოთხოვნით. ოფიციალური პასუხი არ მიგვიღია, თუმცა ზეპირად განმარტებული იქნა, რომ გამოძიების ჩატარება შეუძლებელია ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. როგორც თქვენთვის ცნობილია 2018 წლის დეკემბერში პარლამენტმა მიიღო კანონი და 5 წლის ვადით გაახანგრძლივა მძიმე დანაშაულების გამოძიების ხანდაზმულობის 25 წლიანი ვადა. შესაბამისად 1991 წლის დეკემბრის ბოლოდან ჩადენილი მძიმე დანაშაულების ხანდაზმულობის ვადა გადის არა 2016 წელს, არამედ 2021 წელს.

თქვენთვის ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ 2019 წლის 31 მარტს ზვიად გამსახურდიას 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებებთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების პირველმა პირებმა გამოხატეს მკაფიო დამოკიდებულება ზემოაღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით და ნაცვლად ადრე გამოყენებული ტერმინებისა: „სამოქალაქო დაპირისპირება“ და ა.შ. ზემოაღნიშნული მოვლენები საყოველთაოდ ფასდება, როგორც სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და კონსტიტუციური ხელისუფლების წინააღმდეგ დანაშაულებრივი ქმედებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოგმართავთ თხოვნით, დაიწყოთ გამოძიება შემდეგ ფაქტებთან დაკავშირებით:

1. 1991 წლის აგვისტოში ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფები თენგიზ კიტოვანის ხელმძღვანელობით გამოვიდნენ ხელისუფლების ფაქტობრივი დაქვემდებარებიდან და გადავიდნენ რკონის ხეობაში, შემდეგში მათ გადაინაცვლეს რამდენჯერმე თბილისის ცენტრში რუსთაველის გამზირზე, თბილისის ზღვაზე და საქართველოს ტელევიზიის პირველ არხთან, ხოლო 1991 წლის 22 დეკემბერს იერიში მიიტანეს საქართველოს უზენაესი საბჭოს შენობაზე და დაამხეს საქართველოს კანონიერი ხელისუფლება (პრეზიდენტი, მინისტრთა კაბინეტი, უზენაესი საბჭო).

გარდა საყოველთაოდ ცნობილი მტკიცებულებებისა (მოწმეთა ჩვენებები, ვიდეო მასალები) საქმეზე მტკიცებულებად შეიძლება დართული იქნეს ჯაბა იოსელიანის მოგონებები „3 განზომილება“, სადაც დეტალურადაა აღწერილი როგორც შეიარაღებულ მოქმედებებში მონაწილე პირები, აგრეთვე სხვა პირები, რომლებიც თანამშრომლობდნენ მეამბოხეებთან.

2. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიერ უზენაესი საბჭოს შენობის დატოვების დროს 1992 წლის 6 იანვარს, კოლონას, რომელიც მიემართებოდა ბარათაშვილის ხიდის გავლით საქართველოს სახელმწიფო საზღვრისკენ აზერბაიჯანის მიმართულებით. ერთ-ერთმა სამხედრო ქვედანაყოფმა გაუხსნა ცეცხლი თბილისის ცენტრში, რა დროსაც კოლონის ერთ-ერთ ავტობუსში მყოფი რამოდენიმე პირი გარდაიცვალა, ხოლო დანარჩენთაგან მრავალი დასახიჩრდა და მიიღო სხეულის მძიმე დაზიანებები.

6 იანვარს ანალოგიურ ვითარებაში სოფ. აღაიანში, ავტობუსში ჩაცხრილეს სენაკის ბატალიონის მეთაური კურდღელია და სხვა პირები.

3. კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ თბილისში დაიწყო მრავალათასიანი მიტინგები სამხედრო ხუნტის წინააღმდეგ, რომელთა წინააღმდეგაც გამოყენებული იქნა სამხედრო ძალა: 1992 წლის 3 იანვარს მეტრო დიდუბესთან, 7 იანვარს მეტრო „დელისთან“, ხოლო 1992 წლის 2 თებერვალს მასობრივი მანიფესტაციის წინააღმდეგ თამარ მეფის გამზირზე. დარბევის შედეგად დაიღუპა რამოდენიმე ადამიანი, ათეულობით ადამიანმა მიიღო მძიმე დაზიანებები.

საქმეზე მტკიცებულების სახით შეიძლება დართული იქნეს როგორცაქციის მონაწილეთა და დაზარალებულთა ჩვენებები, ასევე დოკუმენტური წიგნი „მე ვადანაშაულებ“.

4. თბილისში მშვიდობიანი აქციების დარბევის შემდეგ სამხედრო ხუნტამ დაიწყო ლაშქრობა დასავლეთ საქართველოს დაუმორჩილებელი რაიონების წინააღმდეგ და იერიშით აიღო მთელი რიგი ქალაქები. დასავლეთ საქართველოზე კონტროლის დამყარების შემდეგ დაიწყო სხვადასხვა რაიონების არნახული ძარცვა და დარბევა, რომელსაც თან ახლდა მკვლელობები როგორც საბრძოლო მოქმედებების დროს, ისე მშვიდობიან პირობებში. ხონის საავადმყოფოში დახვრიტეს გვარდიელი კორნელი შანავა, წალენჯიხაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანაში დახვრიტეს დაჭრილები რომლებიც ზუგდიდში გადაჰყავდათ და ა.შ.

ცნობილია ასევე შეშზარავი ფაქტი, როცა ხობის რაიონში ხელი მოკვეთეს მხატვარ ვახტანგ ნოდიას, იმის გამო, რომ მან დახატა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პორტრეტი.

5. საბრძოლო მოქმედებების და სამხედრო ოპერაციების პარალელურად მიმდინარეობდა მასობრივი დაპატიმრებები და წამება. დაპატიმრებების უმრავლესი ნაწილი მიმდინარეობდა ყოველგვარი სანქციისა და ფორმალობების გარეშე. საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა პატიმარ წიკლაურისადმი, ვახტანგ გოქსაძისადმი და დაკავებული ამირან კალაძისადმი (ე.წ ყვარლის საქმეზე) არაადამიანური მოპყრობის ფაქტები.

6. 1993 წელს ქალაქ ხობში სამხედრო ხუნტის დაქვემდებარებაში მყოფმა ქვედანაყოფებმა ადგილზე სასამართლოსა და ყოველგვარი ფორმალობის გარეშე დახვრიტეს რამოდენიმე პირი. მტკიცებულების სახით შემორჩენილია ვიდეო მასალა.

7. სამხედრო გადატრიალებაში გარდა სხვადასხვა უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისა და ბანდიტური დაჯგუფებებისა მონაწილეობდნენ უცხო ქვეყნის სპეც-სამსახურები და სამხედრო ქვედანაყოფები (გენერალ ბეპაევის, ადმირალ ბალტინის და სხვ.), რომლებიც უშუალო კავშირში იმყოფებოდნენ სამხედრო გადატრიალების მეთაურებთან.

გთხოვთ დაიწყოთ გამოძიება ზემოაღნიშნულ ფაქტებზე კანონით დადგენილი წესით. მზად ვართ ვითანამშრომლოთ პროკურატურასთან და მოგაწოდოთ ყველა საკითხზე ამომწურავი ინფორმაცია და საჭირო მტკიცებულებები.

კახა კუკავა, პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე
მირიან წიკლაური, პარლამენტის წევრი.

უზენაესი საბჭოს წევრები:
რობერტ პეტრიაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, სალომე ზვიადაძე, მანანა გაბაშვილი, ნუგზარ შავთვალაძე, ვლადიმერ ცოფურაშვილი, ნიკოლოზ სანებლიძე, ალექსანდრე ვარძელაშვილი, ტარიელ დუდაური.

ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები:
ია ბაგრატიონ-მუხრანელი, თინათინ მღვდლიაშვილი, ჯემალ დავლიანიძე, ვალერი გაბელია, გია ძოწენიძე, დავით ჭაბუკაშვილი, თამაზ გველესიანი, ლევან ხაჭაპურიძე, ციცინო მაღლაფერიძე, ბესიკ მიქავა, გიორგი კერვალიშვილი, ვახტანგ ბახტაძე, დიანა მენაბდე, მანონ შავდია, ეკატერინე ნანუაშვილი, გულნარა ჩხვიმიანი, გივი კვანტალიანი, გელა ლომაძე, დავით კუპატაძე, ანა მიქაუტაძე, ნანა ბუხსიანიძე, დარეჯან ბრეგვაძე, შოთა რატიანი, მზია სულაძე, ომარ ბილონაშვილი, მურმან მზარელუა, პეტრე ივანიძე, ემირ დარსანია, ჯანიერ ღვინჯილია, ნათელა ქირია, ბადრი გოგელაშვილი, პაატა დევსურაშვილი, გოდერძი პავლაძე, ნოდარ მაისურაძე, ზურაბ ჯავაშვილი.

სასულიერო პირები:
დეკანოზი მირიან (ნოდარ) სამხარაძე, მღვდელი გიორგი აბდუშელიშვილი

2020 წელს, უბარიერო პროპორციული არჩევნებით, ჩაეყრება საფუძველი ევროპული ტიპის პარლამენტს და ევროპული ყაიდის ქართულ სახელმწიფოს

გვესაუბრება
სამეფო კლუბის
სპიკერი, პუბლიცისტი
გაიოზ მამალაძე

— თქვენი აზრით, კარგია თუ ცუდი მთლიანად პროპორციული საარჩევნო სისტემა ქვეყნისთვის?

- რა თქმა უნდა, კარგია. თანდათან, პოლიტიკური კონცეფციების დრო დადგება. ამას საფუძველს ჩაუყრის, თუ კარგად ჩავატარებთ, 2020 წლის არჩევნები.

ქვეყანას სჭირდება პოლიტიკურ-ეკონომიკური პროგრამების კონკურენცია. ასეთი რამე კი, გინდა არ გინდა, თანამოაზრეთა გუნდში, ორგანიზაციაში იქმნება, რასაც პოლიტიკურ ენაზე პარტია ჰქვია.

ქვეყანა უნდა გაუყვეს ყველაზე დემოკრატიულ გზას, ეს კი ევროპული პოლიტიკური გზაა. ევროპაში, პარლამენტებში 4–5–6 პარტიაა ხოლმე წარმოდგენილი და ამიტომ, უზურპაციაც გამორიცხულია პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა. ხშირად, მთავრობა კოალიციურია, რაც კიდევ უფრო მეტად დემოკრატიულია. ამომრჩეველთა ნებაც მეტადაა გამოხატული. ფაქტობრივად, ამომრჩეველი თითქმის არ რჩება თავისი წარმომადგენლის გარეშე პარლამენტში, რაც მას აძლევს თვითრეალიზაციის შანს, არ ფიქრობს იგი, რომ მას უგულებელყოფენ, რომ არჩევნებს აზრი არ აქვს. იგი ჩართულია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და მოქალაქეობრივ ვალს არ გაურბის, მიდის არჩევნებზე.

უბარიერო პროპორციული არჩევნები კი, მე თუ მკითხავთ, ყველაზე დემოკრატიულია, არც ერთი პოლიტიკური სიმპატიის მიმდევარი ამომრჩეველი, ფაქტობრივად, არ დარჩება წარმომადგენლის გარეშე პარლამენტში. ეს ნამდვილად ევროპულია და დემოკრატიული.

ჩვენ გაგვიჩნდა კარგი შანსი, მთელ ქვეყანას, საზოგადოებას. 2020 წელს, უბარიერო პროპორციული არჩევნებით, შეიძლება საფუძველი ჩავუყაროთ ევროპული ტიპის პარლამენტს და ევროპულ სახელმწიფოს. ეს შანსი არ უნდა გავუშვათ ხელიდან.

— თქვენ ხელმძღვანელობდით ქართველ ნაციონალისტთა ერთობას, იყავით საკრებულოს წევრი და არჩევნებშიც მიგიღიათ მონაწილეობა. გამოცდილებაც გაქვთ. თვლით, რომ არჩევნები უნდა იყოს გადამწყვეტი ქვეყნის განვითარებისთვის?

- დიახ, **ქართველ ნაციონალისტთა ერთობამ** (არავინ გააიგივოს „ნაცმოძრაობასთან“ — ჩვენი პარტია გაცილებით ძველია და ზვიადისა და მერაბის მოძრაობიდან მოდის), რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, ვიყავით ბლოკში **XIX საუკუნე — ერთიანი საქართველო**. ცალკეც გამოვედით. ხელისუფლებაში ნამყოფ პარტიებზე უკეთესი შედეგებიც გვქონდა. მით უმეტეს ბლოკში ყოფნის დროს. მაგრამ, მაშინ არჩევნები ყალბდებოდა, მოგეხსენებათ. ახლა, კი, როცა ბევრი პარტია მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, კონტროლიც მეტი იქნება არჩევნებზე. ასეთი არჩევნები მეტად პლურალისტული იქნება და შედეგიც უკეთესი.

შეიძლება, კოალიციური მთავრობაც მივიღოთ, რაც წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, ნამდვილად. ეს იქნება ევროპული ქვეყნის აღმშენებლობის დასაწყისი. მთავარია, მშვიდობიანად მივიდეთ არჩევნებამდე. ევროპა არჩევნებმა შექმნა ცივილიზებულ სივრცედ.

- ევროპის პოლიტიკურ სისტემაზე ვისაუბრეთ, მაგრამ, რას იტყვით ევროპაში გავრცელებულ რადიკალურ ლიბერალიზმზე?

- ნამდვილი ევროპა არის კონსერვატიული, ქრისტიანული, ევროპის ცივილიზაცია ქრისტიანული ჰუმანიზმის საფუძველზეა შექმნილი.

თვენახევრის წინ ჩავატარეთ კონფერენცია, სახელწოდებით, „სახალხო მონარქია — ევროპული არჩევანი“, სადაც ვთქვით, დაახლოებით ასეთი რამ:

ევროპა ენათესავება ჩვენს კავკასიურ წარმომავლობას. ევროპა, მიუხედავად ჩვენგან კონფესიური განსხვავებისა, მაინც ქრისტეს აღმსარებელთა ცივილიზაციაა და კავკასიური ჰუმანიზმით და ტოლერანტულობითაა გაჯერებული.

ნამდვილი ევროპა არის დემოკრატია, ჰუმანიზმი, ტრადიციონალიზმი, კონსერვატიზმი, შრომისა და ანაზღაურების კულტურა და სხვა. მიუხედავად აზიის საზღვარზე ყოფნისა, ჩვენ არასდროს ვიყავით აზიური ცივილიზაციის ნაწილი. თუ სარწმუნოებრივი თვალსაზრისით, ჩვენ ვართ ქრისტიანობის აღმოსავლეთი, ცივილიზაციური თვალსაზრისით ჩვენი ცივილიზაცია დასავლურია. ჩვენი აღმოსავლური ქრისტიანობა მაინც დასავლეთის ცივილიზაციის ნაწილია, ისტორიულად და კულტურული თვალსაზრისი თ. ჩვენი წინაპრები, მათ შორის წმინდა მამები და მეფეები დასავლეთში, ევროპაში ეძებდნენ ნათესავებს, მოკავშირეებს. დასავლეთის ცივილიზაცია ევროპამ შექმნა.

დღეს უამრავი გამოწვევის წინაშე დგას კაცობრიობა. მათ შორის ევროპა და ევროპული ცივილიზაციის წარმომადგენელთა მიერ დაარსებული — ამერიკის შეერთებული შტატები, საერთოდ კულტურული დასავლეთი, რომლის ნაწილიცაა საქართველო. საბედნიეროდ, ამერიკას მართავს პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, რომელიც ცდილობს დაიცვას ქრისტეს მიმდევართა ტრადიციული ღირებულებანი. დარწმუნებული ვართ, ღმერთი შეეწევა მას და იგი შეძლებს ჭეშმარიტი ამერიკული კონსერვატიული იდეალების წარმატებით აღორძინებას, მათ საბოლოოდ დამკვიდრებას სახელმწიფოს ცხოვრებაში. რაც დადებითად იმოქმედებს ევროპაზე და ჩვენს სამშობლოზეც.

ჩვენც უნდა შევეშველოთ ამერიკასაც და ევროპასაც, რადგან ერთი ბედისწერა გვაქვს. პირველ რიგში ჩვენი დემოკრატიულ-კონსერვატიული სახელმწიფოებრიობის აღორძინებით და ახალი იმპულსებით, რომელიც გამოადგება ევროპასაც, ამერიკასაც და კაცობრიობასაც მთლიანად.

ევროპას, და საერთოდ, დასავლეთს აქედან, კავკასიიდან კვლავ უნდა მივცეთ გარკვეული ბიძგი — სარწმუნოებრივი, მონარქისტული, დემოკრატიულ-კონსერვატიული, ეროვნული, ბუნებრივი, ტრადიციული ევროპის არჩევანისა.

ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი სახელმწიფო, სადაც არ დაარღვევენ ვინმეს უფლებებს, მათ შორის არც უმცირესობის უფლებებს დაარღვევს უმრავლესობა და არც უმცირესობა დაარღვევს უმრავლესობის უფლებებს. გამოხატვის უფლება წმიდაა, მაგრამ, წმიდათა წმიდაა შეურაცხყოფისგან დაცვის უფლებაც. ანუ, ვინმე თუ თავის უფლებებს იყენებს და ამით სხვათა უფლებებს არღვევს, ეს უკვე დემოკრატია კი არ არის, არამედ, ანტიდემოკრატიაა, აგრესიაა. ასე რომ, უნდა დავიცვათ ბალანსი. ამ გზას დაადგა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი. ამიტომ, ვუჭერთ მას მხარს და გვინდა მისმა საქმემ გაიმარჯვოს.

გვინდა განვაცხადოთ, სწორედ ჩვენ ვართ ნამდვილი პროდასავლელები და არა ისინი, ვინც ევროპიდან და დასავლეთიდან პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული მოღწევების გაზიარებას კი არა, უკონტროლობისა და ანარქიის გადმოტანას ცდილობს. ისინი მარქსიტები არიან...

— თქვენ ამბობთ, რომ პოლიტიკური კონცეფციების დრო დგება, ანუ, პარტიების, სადაც უნდა იქმნებოდეს პოლიტიკური კონცეფციები. მაგრამ, საქართველოში პარტიების დიდი ნაწილი სხვა ინტერესებით არის შექმნილი, რომელიმე პერსონის გარშემო და სხვა. რაც მთავარია, პარტიებმა ვერ შეძლეს ხალხის სიმპატიის მოხვეჭა. პარტიები დისკრედიტირებულია...

- საქართველოში არსებული პარტიების უმრავლესობა არის არადემოკრატიული, ავტორიტარული სტილის, ასეთებზე არ მაქვს საუბარი. ამ არჩევნების მეშვეობით, შეიძლება ბევრ ადამიანს გაუჩნდეს ილუზია, შევქმნი პარტიას და ადვილად გავხდები დეპუტატიო. ეს ნაკლებად შესაძლებელი იქნება, თუმცა, ასეთებიც შეიძლება მოხდეს.

მე სხვა რამის იმედი მაქვს. ჩემი აზრით, ახალი კონცეფციების მქონე რამდენიმე ორგანიზაცია დაიბადება, რომლებიც იქნება არა ბელადური ტიპის პარტიები, არამედ, კლუბური ტიპის. სადაც თავისუფლების ხარისხი, ცივილიზაციურობის, კულტურულობის ხარისხი მაღალი იქნება. ანუ, მუდამ ერთი თავმჯდომარე, ბელადი არ ეყოლება, სადაც შესვლა და გამოსვლა ადვილი იქნება, სადაც „პარტიული დისციპლინის“ დარღვევის გამო მოღალტედ არ გამოგაცხადებენ. სადაც ლიდერი იქნება გუნდი და არა რომელიმე პერსონა, ათწლეულების განმავლობაში. სადაც გუნდი შეიმუშავებს სტრატეგიას, ტაქტიკას, სადაც, შიგნით, იქნება ნამდვილი პლურალიზმი.

ადამიანები უნდა გაერთიანდნენ კონცეფციის გარშემო და თავისი გუნდის პროგრამის განხორციელებისთვის იბრძოლონ არჩევნების გზით.

ჩემი აზრით, პარტიების დრო დამთავრდა, ვგულისხმობ პოსტსაბჭოური ქვეყნის ავტორიტარული პარტიების პრინციპებს, სადაც პარტიული დისციპლინა უცვლელ, ბელადურ ლიდერებზეა დამოკიდებული, არ იცვლებიან სახეები და ამიტომ, პოლიტიკური პარტიებისადმი მოსახლეობამ ნდობა დაკარგა. დიდი ხანია ამას მივხვდით და ამიტომ გადავედით კლუბურ პრინციპზე, და მას შემდეგ, რაც დავიწყეთ მუშაობა მონარქისტულ-კონსერვატიული იდეის პოპულარიზაციისათვის, უარი ვთქვით პარტიული სტილით მუშაობაზე, გადავდეთ პარტია გვერდზე და დავაარსეთ სამეფო კლუბი. სამეფო კლუბს არ ჰყავს პრეზიდენტი, თავმჯდომარე, ლიდერი, ბელადი. ბელადობის დრო ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის დამთავრდა, ახლა გუნდების დროა, კლუბური პრინციპის გუნდების დრო.

— თქვენ უარი თქვით პარტიაზე და გააუქმეთ?

- არა, არ გაგვიუქმებია. სამეფო კლუბში შეიძლება შეიქმნას პოლიტიკური ფრთა, არის ზოგიერთის მხრიდან ამის სურვილი, რომელიც არჩევნებშიც მიიღებს მონაწილეობას, ჩვენი პარტიის მეშვეობით (შეიძლება სახელი შეიცვალოს პარტიამ) და შეეცდება სამეფო კლუბის იდეების რეალიზაციას. დარჩება ფრთა, რომელიც არ წავა პოლიტიკის გზით, თუმცა, მეორე ფრთა პოლიტიკურად იმოქმედებს. ეს

8 გვ.

ბიძინა ივანიშვილი მართლა ფეოდალი რომ ყოფილიყო, ესენი ან მიწაში იქნებოდნენ, ან ციხეში

ციკლიდან – „უმადურობის სინდრომი – წერილი მეთორმეტე

ბატონო ბიძინა, ამას წინებზე ერთმა მოხუცმა ქალბატონმა დამირეკა, ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველია, შეგაქოთ, მეც შემაქო, დაგვლოცა, წერის მანერა მომიწონა, უჯიშო „ნაციონალებსაც“ გადასწვდა, გამოლანძღა და ბოლოს მეუბნება: შვილო, ძალიან გულდაწყვეტილი ვარო. რათა-მეთქი? ერთი ვაჟი მყავს და ისიც მიშა საакაშვილზე აბოდებს, მგონი ღამე სანთელსაც უნთებსო. სად მუშაობს, რას საქმიანობს-მეთქი? ადრე უმუშევარი იყო, შემდეგ კი ბიძინა ივანიშვილთან დაიწყო მუშაობა, კარგი ხელფასი აქვს, აღარ უჭირსო. ყურებს არ დავუჯერე, უცებ ვერ გავიაზრე... ესე იგი, ამ დუნიაზე არსებობს ადამიანი, რომელიც თქვენს ერთ-ერთ კერძო სტრუქტურაში (ამ სტრუქტურას შეგნებულად არ ვასახელებ) მუშაობს, კაი გასამრჯელოს იღებს, არ უჭირს, მაგრამ მაინც საакაშვილზე ლოცულობს, თქვენ კი ვერ გიტანთ. თითქმის ცინცხალი ანეკდოტია, არა? კი, ასეა, ნამდვილი ანეკდოტია და ამ მოხუც ქალბატონსაც ბოდიშს ვუხდი, მისი გულისწუხილი რომ გამოვამზეურე, ალბათ მიხვდება და ისევ დამირეკავს, მაგრამ მაინტერესებს, არის თუ არა ეს უმადურობის კლასიკური ნიმუში და თქვენი მხრიდან კეთილშობილების ასევე კლასიკური ნიმუში? ვფიქრობ, არის, მაგრამ აბა, უყურეთ, ეს ფაქტი წესიერ ადამიანებში და უმეტესად მათში, ვინც 2012 წლამდე საакაშვილის დამნაშავე რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში თავი გადადო, იწვევს გულგატეხილობას, უიმედობას და გაღიზიანებას. კი, ბატონო, თქვენეული მიდგომა ჯანსაღია, არ გაინტერესებთ, ადამიანს როგორი პოლიტიკური შეხედულებები აქვს, მთავარია, იყოს პროფესიონალი და იმუშავოს კეთილსინდისიერად, მაგრამ კრიტიკულ მომენტში, როცა მიშა სახელმწიფო გადატრიალებაზე იფიქრებს, ამ თანამშრომელმა სადმე ბომბი რომ დაგიდოთ, მერე სად მიდიხართ? კარგი, ბომბებს და მაუზერებს დავანებოთ თავი, არჩევნები რომ მოახლოვდება, ეს თქვენგან პატივნაცემი ადამიანი წავა, ხმას „ნაცმოძრაობას“ მისცემს, თქვენ კიდევ გამოხვალთ და ძველ გვარდიას, ძველ მხარდამჭერებს მოუწოდებთ, ამ ერთხელაც მხარი „ქართულ ოცნებას“ დაუჭირონ, დანარჩენს კი მერე მიხედავთ, ყველას დაუფასებთ, ყველაფერს გამოასწორებთ, დავიწყებულებსა თუ მიგდებულებს გაიხსენებთ და ასე შემდეგ. მე არ ვამტკიცებ, რომ აუცილებლად ასე მოხდება, უბრალოდ, სანამ კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურები მიშა საакაშვილის ფანები გეყოლებათ, ამის საშიშროება ყოველთვის იქნება. ასეთი ერთი-ორი რომ გყავდეთ, იოლი ასატანი იქნებოდა, მაგრამ საქმე უფრო რთულადაა – ვინც ეგ „ნაცი“ მოგიყვანათ, ისიც ხომ „ნაცი“ გამოდის და ვინც ეგ „ნაცები“ მოგიყვანათ, ისიც ხომ თქვენი მტერია? გამოდის, არა მხოლოდ თქვენი გარემოცვა, თქვენი კერძო კომპანიებიც გადატენილია მოღალატეებით.

ამ დღეებში აჭარაში ჩახვედით, „ქართული ოცნების“ რეგიონული ორგანიზაცია დააფუძნეთ (მიკვირს, აქამდე რომ არ იყო დაფუძნებული, ეგეც ერთი შეცდომა) და ამ ორგანიზაციას სათავეში აჭარის მთავრობის თავმჯდომარე, თორნიკე რიჟვაძე ჩაუყენეთ. მე პირადად რიჟვაძესთან არანაირი პრეტენზია არ გამაჩნია, მაგრამ ეს კიდევ მეორე შეცდომა მგონია. კი, მაგრამ სად სცალია მთავრობის მეთაურს, პარტიულ საქმეებზე ირბინოს? საქმეში ჩახედული ადამიანები აქამდე იმას ჩიოდნენ, რეგიონებში პარტიული ორგანიზაციების უფროსებად მერები არ უნდა იყვნენ, ეს მათი მეორე, დამატებითი ტვირთიაო, ვერ გაქაჩავენო და მართლაც ვერ გაქაჩეს საპრეზიდენტო არჩევნებში. მეც ვამბობდი, საარჩევნო შტაბების ხელძღვანელებად ავტომატურად მერებს და მათ ძმაკაცებს ნუ ნიშნავთ-მეთქი, მაინც დაინიშნენ და აკი ჩაფლავდნენ კიდეც. ჰოდა, ახლაც ასე მგონია, მთავრობის მეთაურისთვის კიდევ პარტიული საქმიანობის აკიდება ნამეტანი იქნება და არ გამოვრიცხავ, აჭარაში „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები წააგოს.

უკაცრავად, სიტყვა გამიგრძელდა, აჭარაში თქვენი ჩასვლა სულ სხვა მიზნით გავიხსენე... ესე იგი, ბათუმში ყოფნისას განაცხადეთ, ჩვენ ყველასთან ვითანამშრომლებთ „ნაცმოძრაობის“ გარდაო. კარგია, დესტრუქციულ ძალასთან, სადაც ქვეყნის დამაქცევრები არიან თავმოყრილნი, არც უნდა ითანამშრომლოთ, მაგრამ ისევ იმ წერტილამდე მივდივართ, საიდანაც ეს წერილი დავიწყე – მაშინ, როცა პარტიაშიც და თქვენს კერძო ბიზნესშიც (აღარაფერს ვამბობ სახელმწიფო სტრუქტურებზე) ამდენი ავანტიურისტი „ნაციონალი“ გყავთ, ართანამშრომლობაზე საუბარი ცოტა უხერხული ხომ არ არის? როდესაც ეს განაცხადეთ, იმ წამსვე გაჩნდა შეკითხვა: აი, ვითომ ზომიერი „ნაცები“ რომ არიან, ვითომ ევროპულს რომ აწვებიან, მათთან აპირებთ თანამშრომლობას? თუ აპირებთ, იცოდეთ, ზუსტად იგივე განმეორდება, რაც მოხდა საპრეზიდენტო არჩევნების დროს, კრიტიკულ მომენტში „ნაცმოძრაობასთან“ გაერთიანდებიან და ქვეყანას აუცილებლად შეექმნება პრობლემები. ნუ ენდობით ბოკერიას, უგულავას და მათთან გათანაბრებულ პირებს, ისინი გაცილებით უარესები არიან. სხვათა შორის, „ევროპულმა საქართველომ“ უკვე განაცხადა, „ქართულ ოცნებასთან“ კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებას არ ვაპირებთო. ესენი ახლა „ნაცებს“ ვითომ გაეყრებიან, ეს პროცესი უკვე დაწყებული აქვთ, ოთო კახიძე, გიგა ბოკერია და ვიღაცები სიმაღლის მიხედვით გამოდიან, მელიას განცხადება თუ მოწოდება, არაკორექტული იყო, ჩვენ პარლამენტში შეჭრას არ ვემხრობითო. რა სისულელეა? იმ ღამეს, როცა შტურმი დაგეგმეს, ესენიც იქ არ ეყარნენ და აქციის მონაწილეებს არ აგულიანებდნენ? გიგა ბოკერია არ დაძვრებოდა და „ნაცებს“ გვერდში არ ედგა? ვიმეორებ, ესენი ისეთივე კარტს ათამაშებენ, როგორიც საპრეზიდენტო არჩევნების დროს გაათამაშეს და ღმერთმა ნუ ქნას, არსებობს დიდი ალბათობა, რომ თუ იგივე შედეგი დადეს, პარლამენტში მივიღებთ უფრო უარეს კონფიგურაციას, ვიდრე ამჟამადაა.

ისე, რაღა დაგიმალოთ და... მომეწონა თქვენი შემტევი პოზიცია, მე პირადად ასეთი ბიძინა ივანიშვილი 2013 წლის შემდეგ არ მინახავს. ეს კი მაფიქრებინებს, რომ ან საქმე კარგადაა, ან კიდევ იმდენად ცუდად, რომ ბრძოლა გრძელდება 2012 წლის მდგომარეობით. და მართლაც, როგორც აღნიშნეთ, პარტია „ქართული ოცნება“ არსებობდა არჩევნებიდან არჩევნებამდე. კარგია, რომ ამ რეჟიმზე უარს ამბობთ. თუმცა თუ პარტია დღეიდანვე არ გააქტიურდა, ძალიან ძნელი იქნება განაწყენებული და იმედგაცრუებული მხარდამჭერების შემობრუნება. ადრეც დავწერე და ვიმეორებ, ამის გაკეთება „ქართულ ოცნებაში“ შეუძლია მხოლოდ ერთ ადამიანს, ირაკლი ღარიბაშვილს, რომელიც (მეჩვენება) მაინც და მაინც წინა პლანზე არ გყავთ წამოწეული.

შემდეგი თემები, რაზეც თქვენ ისაუბრეთ ჟურნალისტების ჟივ-ჟივ-ყაყანში, მიანიშნებს იმაზე, რომ ყველა საკითხში ინფორმირებული ხართ. რა თქმა უნდა, აბსოლუტურად უცოდინარი და უვიცია ის, ვინც მიგვანიშნებს, რომ რუსული ბაზარი აუცილებლად ევროპული და უკრაინული ბაზრით უნდა ჩავანაცვლოთ. კი არ მიგვანიშნებენ, ბატონო ბიძინა, ჩაგვჩიჩინებენ და გვლანძღავენ. ქვეყნის მოღალატეები საკადრის პასუხს მიიღებენ, არ არის პრობლემა, აქ კი, მოდით, მკითხველებს გავაცნოთ, ანუ შევთავაზოთ რამდენიმე ფრაგმენტი თქვენი საუბრიდან:

ბიძინა ივანიშვილი: „თუ ყურადღებას მიაქცევთ, თვითონ ევროპელები, განვითარებული ევროპული ქვეყნებიც კი, როგორ ცდილობენ რუსულ ბაზარზე დამკვიდრებას. რუსული ბაზრის ჩანაცვლება არავისთვის იოლი არ არის – არც ევროპელებისთვის და მითუმეტეს, ადვილი არ არის ჩვენთვის. პროდუქციის შეტანა და მომხმარებლის ყურადღე-

8 გვ.

უბარიერო პროპორციული არჩევნებით, ჩაეყრება საფუძველი ევროპული ტიპის პარლამენტს...

6 გვ.

ხელს არ შეუძლის მთავარი მიზნისკენ სვლას, პირიქით, მეტად დემოკრატიულიცაა. მეტად ქმედითიც შეიძლება აღმოჩნდეს. თან მთავარი, ის ფრთა, რომელიც არჩევნებში მონაწილეობას აპირებს, იმოქმედებს, იმუშავებს კლუბური პრინციპით... ამას უკვე მივაღწიეთ... არ იქნება ბელადომანია, ეს რეალურად იქნება გუნდი, კოალიციური გუნდი, საარჩევნო იდეოლოგიურ პარტიად გამოსული.

მინდა გითხრათ, რომ დიქტატი, არა მხოლოდ ხელისუფლების მქონე



პარტიიდან არსებობს ხოლმე, არამედ, ოპოზიციური პარტიიდანაც, რომელსაც აქვს დიდი თანხები და ძლიერი ტრიბუნა. რეალურად ასეთი რამდენიმეა, მათ თავ-თავისი ტრიბუნები აქვთ. მომავალი არჩევნების დანიშნულება უნდა იყოს, ყველას, ვინც კონცეფციებს წარმოაჩენს, ჰქონდეს ტრიბუნა.

- კი, მაგრამ, ამდენი პარტიაა რეგისტრირებული და რაში გვჭირდება ახალი პარტიები?

- დაიწმინდება ეგ. რომელი პარტიაც არ მიიღებს ხმას დაიშლება. რა პრობლემაა. მთავარი კი ისა, რომ თუ ნამდვილი პლურალიზმი იქნა, რამდენიმე პარტია წამოიწევა. არა ისინი, ვინც წლების განმავლობაში განსაზღვრავდნენ ქართული პოლიტიკის უსულგულობას, არამედ, წამოიწევიან სხვები, გამოჩნდებიან ახალი სახეები, კონცეფციები, რომლებიც იმ ძველებთან კავშირში არ არიან. ეს ქვეყნისთვის ძალიან მომგებიანი იქნება. ამიტომ, მომწონს პროპორციული და უბარიერო არჩევნების დანიშვნა.

სხვა მსოფლმხეველობის მქონე ადამიანისადმი კლიშეებით მიდგომა, მისი დადანაშაულება, სტიგმატიაცია უნდა დამთავრდეს. ადამიანებს აქვთ უფლება ჰქონდეთ საკუთარი აზრი, თუმცა, კანონის ფარგლებში უნდა მოქმედებდნენ.

— თქვენ ახსენეთ პრეზიდენტი ტრამპი. რამდენად მნიშვნელოვანია მისი პოლიტიკა თქვენთვის?

- მე გახლავართ ამერიკის პრეზიდენტ ტრამპის მხარდამჭერი, მისი კონსერვატიზმისა და ქრისტიანული პრინციპებისადმი ერთგულების გამო. ვფიქრობ, მან უნდა შეცვალოს მსოფლიო და ამერიკა კვლავ გაუდგეს ტრადიციების გზას.

ტრამპი არ მოსწონთ ჩვენს რადიკალ ლიბერალებს, ვითომ პროდასავლელებს, ლანძღავენ მას, ებრვიან. ჩვენი გუნდი კი მხარს უჭერს. ამიტომ, არ უნდა გამოგვივარდეს ვინმე და ლიბერალიზმის მტრად და მოღალატედ არ უნდა გამომაცხადოს. მით უმეტეს, პრეზიდენტი ტრამპი არ უნდა დაადანაშაულოს ამაში. კანონს არ ვარღვევ, არც რადიკალი ლიბერალების კოცონზე დაწვას ვითხოვ, უბრალოდ, მაქვს უფლება მქონდეს ჩემი შეხედულება, რომელიც ეყრდნობა ჩემი ქვეყნის ტრადიციულ სარწმუნოებას, მართლმადიდებლობას.

დღეს, ისეთი ძალები საუბრობენ პროევროპელობაზე, პროდასავლურობაზე, რომლებიც თავისი ამორალური და მიუღებელი ქმედებებით დასავლეთს აძულებენ ხალხს. რომლებიც ღიად თუ ფარულად ებრვიან ამერიკის დღევანდელ ადმინისტრაციას, პრეზიდენტ ტრამპს. რომლებიც ებრძვიან ქართულ სახელმწიფოებრიობას, რადგან, შლიან და ანგრევენ ქართული სახელმწიფოს ბროლისუნარიანობას.

დასავლეთის სახელმწიფოები გამოირჩევიან ძლიერი ჯარით და არმიისადმი მოსახლეობის პატივისცემით, ეს მენტალურადაცაა განმტკიცებული და კანონით გარანტირებული. აქ კი, ვიღაცეები, ქართველ ახალგაზრდებს მაქინაციებს ასწავლიან, როგორ თქვან უარი სახელმწიფოს სამსახურზე, არმიაში გაწვევაზე, როგორ დასცინონ კანონს, როგორ დაარღვიონ კანონი და სხვა...

ეს იმ პოლიტიკის გაგრძელება, რასაც ასწლეულები მიმართავდა რუსეთის იმპერია, რომელსაც უნდოდა მოეშალა ქართველი ხალხის ეროვნული საფუძვლები. ახლა, ეს ტიპები, რანაირად არიან ანტიოკუპანტები, ან პროდასავლელები, ან პროამერიკელები? ისინი არიან, იმათი საქმის გამგრძელებლები, რომლებიც აფხაზეთში და ჩრდილო ქართლში ქართველებს ჩაგრავდნენ და აფსუა-აფხაზებს და ოსებს ჩვენს წინააღმდეგ განაწყობდნენ.

- დაბოლოს, კონსტიტუციური მონარქია გამოადგება საქართველოს?

- სახალხო მონარქიის იდეა არის სამეფო კლუბის, ჩემი მეგობრებისა და ჩემი პირადი პროექტის ერთი ნაწილი, რომელიც, შეთავსებული გვაქვს, სხვა, კონსერვატიულ-დემოკრატიული კონცეფციის გეგმასთან. ევროპაში ხომ არის დემოკრატიული, სახალხო მონარქიები, ქართული მონარქიული პროექტიც ევროპული იქნება, თან ქართული და კავკასიური, დაცული გვექნება თანასწორობისა და რესპუბლიკური მართვის ყველა პრინციპი. დეტალურად, ეს ყველაფერი ჩამოყალიბებული გვაქვს.

ჩვენი მთავარი ამოცანაა, პლურალისტური, სტაბილური, დემოკრატიული და ტრადიციონალისტური სახელმწიფოს აშენება. ეს ჩვენს ხალხს შეუძლია ნამდვილად!

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ბიძინა ივანიშვილი მართლა ფეოდალი რომ ყოფილიყო, ესენი ან მიწაში იქნებოდნენ, ან ციხეში

7 გვ.

ბის მიქცევა მარტივი პროცესი არ არის. ამას წლები სჭირდება. ჩვენი პროდუქცია რუსეთში ცნობილია და ძალიან კარგად იციან. მას მომხმარებელი ჰყავს. როდესაც რუსული ბაზარი დაკეტილი იყო, დივერსიფიკაცია მოხდა და ეს პროცესი გრძელდება, მაგრამ იმის მსურველები, რომ რუსული ბაზარი უნდა დაიკეტოს და ვაჭრობა შეწყდეს, ქვეყნის მტრები არიან".

ასი პროცენტით გეთანხმებით, ამ ავანტიურისტებს არც უკრაინული ბაზარი აინტერესებთ და არც ევროპული, მათი „ხეირია" რაც უფრო ცუდად იქნება საქმე ქვეყანაში, რათა გამოლაგდნენ და თქვან, დაღუპა საქართველო ივანიშვილმა, ჩვენ ვაშენებდით, ამან დააქციაო. აგერ, გაქსუებული სააკაშვილი ისევ თავის „ამპულაშია":

„ყველა ხვდება, რომ ივანიშვილის დრო წასულია და ის ბარდება

წარსულში. იმ პირობებში, როცა ოლიგარქი გაიქცა მოლდოვიდან, როცა უკრაინაში დამარცხდა პოროშენკო, ოლიგარქმა წააგო სომხეთი, საქართველო დარჩა ბოლო კუნძული ფეოდალური მმართველობის და ეს არ ეკადრება ქართველ ხალხს, მაგრამ ამავე დროს, ბოლომდე გადაეფარა გახარიას და პრაქტიკულად აღიარა, რომ დარბევის ბრძანება გასცა თვითონ. ის ბოლომდე ამართლებს რუსების ჩამოყვანას და პუტინისადმი გაწოლის პოლიტიკას. ის შლის ქართულ სახელმწიფოს, რა მაგარი ქვეყანა დავუტოვეთ და რას დაამსგავსა".

ეჰ, ბატონო ბიძინა, გახსოვთ, რა ქვეყანა დაგიტოვათ მიხეილ ალასანია-სააკაშვილმა? თქვენ კი რას დაამსგავსეთ? როცა პარლამენტის წინ „მშვიდობიან" აქციას არბევდით, ერთი-ორი გვამი მაინც არ უნდა შემოგედოთ მაღაზიის ჭერზე? მაგას დავანებოთ თავი, 7 წლის განმავლობაში, სულ მცირე, 7 ახალგაზრდა მაინც არ უნდა ჩაგეცხრილათ ქუჩაში? აღარაფერს ვამბობ ბიზნესების ახევასა და ციხეებში პატიმრებისთვის ცოცხებით „პატივისცემაზე". რა არი, რა უნიათო გამოდექით, ბოლოს და ბოლოს?! აი, მიშა კი ისევ იბრძვის მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად, ოღონდ ოლიგარქების წინააღმდეგ. თურმე საქართველო დარჩენილა მხოლოდ მილიარდერის ხელში და ამასაც მალე მიხედავს, თურმე ზელენსკი ციდან ჩამოფრენილა, მის უკან საერთოდ არ მდგარა მილიარდერი კოლომოისკი, თურმე არც დონალდ ტრამპს ჰქონია მილიარდები. ისე, რაც მართალია, მართალია, როგორც დაგვპირდით, გასაოცარი დემოკრატია დამყარდა საქართველოში, თორემ ბიძინა ივანიშვილი მართლა ფეოდალი რომ ყოფილიყო, ესენი აქამდე ან მიწაში იქნებოდნენ, ან კიდევ ციხეში. ისე, მე არ გამისინჯავს, მაგრამ როგორც ამბობენ, კოკაინის ყნოსვამ იცის ხოლმე ეგეთი რაღაცები — იყნოსავ, გახვალ რუსთაველზე, სადაც ხუთიოდე ბომჟი დალასლასებს და გეჩვენება, რომ 100 ათასი გულანთებული ახალგაზრდა დგას და ითხოვს გახარიას უპირობო გადადგომას. შევეშვათ სააკაშვილს, მაგას თავისი უბედურებაც ეყოფა, დავუბრუნდეთ თქვენს განცხადებებს:

***ბიძინა ივანიშვილი: „გახარიას გადადგომა დღეს იქნებოდა სამშობლოს ღალატი პირდაპირი მნიშვნელობით. გახარია რომ გადამდგარიყო 21-სა და 22-ში, ეს ბიჭები, ვინც ამას ორგანიზებას უკეთებდნენ და ის პოლიტიკოსები, რომლებიც ამ მოწოდებებს აკეთებდნენ, პარლამენტში შესულიყვნენ, აბა, რატომ უნდა შესულიყვნენ პარლამენტში? ერთი კითხვები დაუსვით, რა უნდოდათ პარლამენტში ძალით რომ შედიოდნენ, თუ არა სახელმწიფო გადატრიალება? ძალის მიტანა სახელმწიფო ინსტიტუტზე, ძირითად ინსტიტუტზე, პარლამენტზე როდესაც ხდება და მას პოლიცია ვერ დაიცავს, რა თქმა უნდა, შს მინისტრმა პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ამ დროს გადადგეს. მან კი მოაბერხა და დაიცვა ახალი სახელმწიფო გადატრიალებისგან ქვეყანა".*

გეთანხმებით, გიორგი გახარია არ უნდა გადადგეს არა მხოლოდ გამოძიების დასრულებამდე, 2020 წლის არჩევნების შემდეგაც კი. ერთ-ერთი, ვისიც „ნაციონალებსა" და მათთან გათანაბრებულ პირებს ეშინიათ, ეს არის გახარია. ესენი ცდილობენ, მისი მოშორებით თქვენი პოზიციები დაასუსტონ და თავიანთი ჭკუით, კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწიონ წინ. თუმცა როგორ მიიწევენ „წინ", რუსთაველზე ბოლო დღეების აქციებსაც ეტყობა და „რუსთავი 2"-ის საქმიდანაც კარგად გამოჩნდა. მშვენივრად თქვით: „200 კაცს აგროვებენ აღმოსავლეთში, 200 კაცს დასავლეთში და თან ვერ ხვდებიან, თვითონ რომ კნინდებიან".

კი არ კნინდებიან, უკვე დაკნინდნენ და ახლა ლპებიან, ამაზე „დაკუმენტი" სტრასბურგის სასამართლომაც გასცა. ისე, რა მაგარი ხართ, გრიგოლიჩ, ახლა არ მითხრათ, ევროსასამართლოში კარტოფილი არ გამიგზავნია, „რუსთავი-2" ისე გადასცეს ქიბარ ხალვაშსო. არა, მე არაფერს ვამტკიცებ, მაგას „ნაცები" იძახიან, მე მარტო იმაში ვარ დარწმუნებული, რომ 7 მოსამართლეს 2-2 კილო კარტოფილი არ ეყოფოდათ... ალბათ, თითო „მეშოკს" მაინც მოითხოვდნენ. მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ასეა თუ ისე, მაინც კარგი ამბები ხდება „დანიის სამეფოში" და ეს გვაძლევს დიდი იმედის საფუძველს.

პატივისცემით,
გელა ზედელაშვილი

აყუნა და ბაყუნა, ანუ რას ბლაყუნობს ლევან ბერძენიშვილი?

ლევან ბერძენიშვილზე ბევრი დაწერილა – კარგი არაფერი. თივითონაც ბევრი დაუწერია, ბევრი სისულელე უთქვამს. უფრო პოლიტიკურ პროგნოზებში ჭედავს, ხშირად ისეთ ანალიზს აკეთებს, დებილ ბავშვსაც რომ გაუკვირდება. ალბათ გახსოვთ, 2011-ში იძახდა, ბიძინა ივანიშვილი არჩევნებში 7 პროცენტზე მეტს ვერ აიღებსო. როცა კოალიციაში დაპატიჟეს, „პლასტინკა“ უცებ გადაატრიალა, ეხლა კი გაუჩნდა მოგების შანსიო. გარკვეულ წრეებში ამბობენ, ბატონი ლევანი განათლებული კაციაო, ლიტერატურაში ერკვევაო. არადა, „გადახრები“ ამ მხრივაც შეენიშნება – ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში „წამოაწვინა“, ილია ჭავჭავაძეს, როგორც პოეტს, არ ვცნობო, ამ სფეროში სუსტიაო. ატყდა ამბავი, გამიშვი-დამიჭი, მიაჩუხანეს ეს „განათლებული“ კაცი და მიაგდეს. გავიდა ცოტა დრო და ახლა ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოებს“ დაეტაკა, ეგ მკვდრადშობილი ლექსიაო. არა, რომ ეთქვა, დროთა განმავლობაში მოკვდაო, გაუფერულდაო, ევროპულ სტანდარტებს ვეღარ პასუხობსო, კიდევ გასაგები იქნებოდა, მკვდრადშობილი კი იმას ნიშნავს, რომ მკვდარი დაიბადა, ანუ თავიდანვე არ ვარგოდა, ამორტიზებული იყო. ამბობენ, ლევანა ახალგაზრდობაში დისიდენტობდა, საბჭოთა კავშირს ძირს უთხრიდა, მაგრამ პარალელურად ჩამშვებადაც მუშაობდაო, კალამს რომ აიღებდა ხელში, ვეღარ აგდებინებდნენო. სამაგიეროდ ციხეში შეღავათებს თხოულობდა და კომუნისტებიც აძლევდნენ, უფასებდნენო. პირადად მე ეს ეშმაკის მსგავსი არსება 1990-იანი წლებიდან მახსოვს თავის ანალოგიურ ძმასთან ერთად, ჯერ რომ უზენაეს საბჭოში მოხვდნენ და მერე ზვიად გამსახურდიას აუხტნენ, საქართველოში დიქტატურა რეიზა დაამყარეო? ზვიადი დაამხეს და ტაშ-ფანდურით დახვდნენ ედუარდ შევარდნაძეს. თუმცა მანამდე გამწესდნენ სამხედრო საბჭოში, გარდამავალ პერიოდში ხომ უნდა მიეხედათ ენისთვის, მამულისთვის და სარწმუნოებისთვის? უკაცრავად, სარწმუნოება მათგან ისე შორსაა, როგორც ვინიტუ ინჩუჩუნას ვაჟის სული, უბრალოდ უნდა მიეხედათ მამულისთვის. გავიდა დრო, დახედეს სიტუაციას, შევარდნაძე სადაცაა წავაო და გადახტნენ მიხეილ სააკაშვილთან. მერე მიხვდნენ, ახლა მიშა წავაო და გადახტნენ ბიძინა ივანიშვილთან. ახლა მიხვდნენ... და ჩემ ფეხებს მიხვდნენ, ბიძინა წავაო და მაჭუტაძესთან გადახტნენ. თუმცა იმას ვეღარ ხვდებიან, რომ გადახტომა-გადმოხტომის დრო წავიდა, საზოგადოებაც გაიზარდა. ასეც რომ არ იყოს, გრიგოლ ვაშაძისგან, ბაჩუკი ქარდავასგან, ნიკა მაჭუტაძისგან და სხვა ლილაგახუნებული ე.წ. პოლიტიკოსებისგან რა უნდა გამოდნეს? თუ აქამდე ბერძენიშვილებს ვირეშმაკობაში უმართლებდათ, თუ აქამდე რეიტინგულ ძალებს ეკიდებოდნენ, ახლა ასეთი რეიტინგულ-რევოლუციური ძალები აღარ არსებობენ. ამათ პოლიტიკურ აბრაკადაბრას დავანებოთ თავი, ამჯერად აღარ მაინტერესებს (ალბათ არც თქვენ გაინტერესებთ) გაყვითლებული და გაცრეცილი ბიოგრაფიების ქექვა, რადგან ძალიან ცუდი სუნი ასდის. მინდა, „განათლებულ“ ლევანას ორიოდე „სმეშნოი“ სიტყვა ვუთხრა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენასთან“ დაკავშირებით, „ნაციონალებისგან“ განდევნილი ამ ხელისუფლებამ რომ დააბრუნა სკოლაში და ერთი ამბავი ატეხა, ეგ უვიცობაა, რაღა დროს „დედა ენაო“?!

ლევან ბერძენიშვილი: „არ შეიძლება, დღეს უკვე თანამედროვე სამყაროში, ისევ „დედა ენით“ ისწავლებოდეს სკოლაში. ამაზე თავად იაკობ გოგებაშვილსაც გაეცინებოდა და ახალ წიგნს დაწერდა. გარდა ამისა, გეუბნებით, რომ მალე „დედა ენის“ წიგნში შევა „ფეისბუქი“ და ყველა ის თანამედროვეობისათვის დამახასიათებელი ტერმინები, რომელიც უპასუხებს ახალ სტანდარტებს. არ შეიძლება, ბავშვებს ვასწავლიდეთ თოხსა და ურემს, ის შეიძლება წავიყვანოთ მუზეუმში და ვაჩვენოთ იქ. პრემიერმა რომ მიიღო ეს გადაწყვეტილება და დააბრუნა „დედა ენა“ სკოლაში, მაინტერესებს, აზრი არავის კითხეს? “ უნდა დააბრუნონ სკოლაში ისევ როდონაიას სახელმძღვანელო, – მოითხოვს ბერძენიშვილი. როგორც ჩანს, ეს ადამიანი კარგახანია არც სოფელში ყოფილა, არც თბილისიდან გასულა, არცა რა გაუგია, არცა რა მოუსმენია. ამიტომაც ჰგონია თოხი და ურემი სამუზეუმო ექსპონატი; მეორე – მალე „დედა ენის“ წიგნში შევა „ფეისბუქი“ და სხვა თანამედროვე სიტყვებიო. აქ, ალბათ, „განათლებული“ „ინსტაგრამს“, „გუგლს“ და „ოდნოკლასნიკებს“ გულისხმობს; მესამე – თუ ბავშვებს წერა-კითხვას „დედა ენის“ საშუალებით ვასწავლით, ეს იქნება უკან დაბრუნება, მაგრამ თუ როდონაიას და სხვა „გენიოსების“ მიერ შედგენილი ქაღალდებით გავულაყებთ ტვინს, ეს იქნება წინსვლა, ანუ ფეხის აწყობა; მეოთხე – აგერ, ნიმუშად გთავაზობთ ერთ ფურცელს თანამედროვე „დედა ენიდან“ – ნახეთ, რა ტექსტით სწავლობენ ჩვენი ბავშვები წერა-კითხვას:

„აყუნა ხვალ სკოლაში მიდის.
აყუნა ყანჩაა.
აყუნა სკოლაში

ბაყუნასთან ერთად მიდის.
ბაყუნა ბაყაყია.
ყუშო უკვე დადის სკოლაში.
ყუშო თუთიყუშია.
ყუშო აყუნას და ბაყუნას
სკოლისთვის ამზადებს.
- აბა, ბაყუნა, რამდენია 2+2?
- ყი, ყი, ყი, ყი! – ყიყინებს ბაყუნა.

აი, ფაქტი, ლევან ბერძენიშვილისთვის ეს არის წინსვლა და პროგრესი, ამ ულოგიკო, უშინაარსო, კომიკური ტექსტებით უნდა ისწავლონ ჩვენმა ბავშვებმა წერა-კითხვა. „განათლებული“ ამტკიცებს, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ მოძველებულიაო, ავტორი ცოცხალი რომ იყოს, ხელახლა დაწერდაო, წიგნში „ფეისბუქსაც“ შეიტანდაო. მეტიც, ეტყობა, იმაშიც დარწმუნებულია, რომ ასოგერა „ხ“-ს განმარტებისთვის გოგებაშვილი სიტყვა „მარიხუანას“ გამოიყენებდა. თუ ბატონი იაკობი გახალხურებასაც მოინდომებდა, მაგ მხრივაც გაგვაჩნია ორიოდ სირტყვა – მაგალითად: კრამიტი, შიფერი, ჩალა, რაც ასე ხშირად უცურდებათ ხოლმე ბერძენიშვილებს.

ეტყობა, „განათლებულ“ ლევანას თავში ძალიან ძნელად შედის (ან საერთოდ არ შედის) ის ამბავი, რომ „დედა ენა“ არის ანბანის შესწავლის ე.წ. მექანიზმი, და არა განათლების მიცემის წყარო. ტიპი ისე ხატავს, თითქოს მთელი ზოგადი განათლება მხოლოდ „დედა ენაზეა“ დამოკიდებული და მორჩა, სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია. ისე, მე თუ მკითხავთ, მეორე კლასიდან დაწყებული, ბოლო კლასით დამთავრებული, ყველა სახელმძღვანელო ძირეულადაა შესაცვლელ-დასაწერი. ამ თემას მომავალში შევეხები უფრო დეტალურად.

ამბობენ, ბატონი აყუნა... უკაცრავად, ბატონი ლევანი არისტოფანეს კომედიებსაც თარგმნის და ჭერში აწყობსო. რატომ ჭერში? იმიტომ, რომ არც არავინ კითხულობს, არც არავინ დგამს. გამოდის, არისტოფანეს შემოქმედებაც ისეთივე მკვდრადშობილი ყოფილა, როგორც ლადო ასათიანისა და ილია ჭავჭავაძის პოეზია. ამოცანა გვეკითხება, რომელი უფრო ძველია, არისტოფანე, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 450-იან წლებში რომ მოღვაწეობდა თუ იაკობ გოგებაშვილი, ასიოდე წლის წინათ „დედა ენას“ რომ წერდა? მოდით, ამაზე აყუნამ და ბაყუნამ გვიპასუხონ, როცა გაიზრდებიან. ალბათ, აქ ბატონი ლევანი იტყვის, არისტოფანეს კომედიებზე ბავშვები არ იზრდებიან, ხოში მაქვს და ვთარგმნიო, ჩემ ჭიას ვახარებო. კი, ბატონო, არის ამაში სიმართლის მარცვალი, მაგრამ „დედა ენაში“ კონკრეტულად რა არის მოძველებული, მაინც გაუგებარია – ურემი? თოხი? თითი? უთო? მუხა? თხა? გოგო? ეეეჰ... ყურადღება არ მიაქციოთ, ბავშვებო, ლევანა პაპა დაბერდა და დაყ..ევდა! არც ადრე იყო მთლად დალაგებული, მაგრამ ეხლა ნამეტანი მოსდის!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ვინ გადადგა პირველი ნაბიჯი საქართველოს დამოუკიდებლობისკენ და ვინ გამოაცხადა 1990 წლის 19 აგვისტოს საქართველო ოკუპირებულ და ანექსირებულ ქვეყნად?

„საერთო გაზეთის“ წინა ნომერში დაიბეჭდა, „იბერიულ კავკასიური“ მოძრაობის თავმჯდომარის ბესო მიქავას ინტერვიუ, სადაც იგი საუბრობდა საბჭოთა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნოდარ ჭითანავას დამსახურებაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში. საქართველოს იმჟამინდელმა ხელისუფლებამ 1990 წლის 19 აგვისტოს სესიაზე, ფერიცვალობის დღეს, აღიარა, რომ 1921 წელს საქართველო საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებული და ანექსირებული იყო. ბატონი ნოდარ ჭითანავასა და სხდომის მდივან ვახტანგ კვარაცხელიას მიერ ხელმოწერილი ეს დადგენილება 1990 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, რითაც წერტილი დაესვა საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის არსებობას ღვთივკურთხეულ საქართველოს მიწაზე. ამ დღეს ბატონმა ზვიადმა კომუნისტების ფერისცვალება უწოდა.

ჩვენ დავუკავშირდით ბატონ **ნოდარ ჭითანავას**, მან ინტერვიუსგან თავი შეიკავა და მხოლოდ მოკლე კომენტარით შემოიფარგლა: ეს მარტო ჩემი კი არა, საქართველოს იმ პერიოდის ხელისუფლების დამსახურებაა. ბატონი ნოდარის უარი ინტერვიუსთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, მისი მოკრძალებული ხასიათიდან გამომდინარეა. სამაგიეროდ, იგი ყველა თემაზე ამომწურავად საუბრობს თავის წიგნში „საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია“, რომელიც 2018 წელს გამოიცა.

მონოგრაფიაში მაღალკვალიფიციურადა არის განხილული ის პროცესები, რაც 80-იანი წლების საქართველოში შეიქმნა. პოლიტიკურ კატაკლიზმებში, გლობალიზაციისა და ინტეგრაციულ პროცესებში სპონტანურად ჩართული საქართველო, გარე ფაქტორების გავლენის ობიექტი გახდა. 80-იანი წლების მიწურულს კი, იგი ორი ისტორიული პროცესის დაწყებისა და გადაკვეთის ეპიცენტრში აღმოჩნდა, გაჩნდა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების რეალური შესაძლებლობა და დადგა სოციალისტური ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გარდაქმნის აუცილებლობა. მსოფლიო ისტორიაში ქვეყნების განვითარების ასეთი პრეცედენტი არ ყოფილა, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდი ცნობილი იყო, სოციალისტური სისტემიდან კაპიტალისტურზე გადასვლის შესახებ, ზოგადი წარმოდგენაც კი არ არსებობდა. პროცესი, რომელიც გორბაჩოვისეული „პერესტროიკის“ პოლიტიკური სლოგანებით იყო შეფუთული, ქაოსურად განვითარდა და ცხადია, საქართველოც მოიცვა. ასეთი უნიკალური მოვლენა, ბუნებრივია, მოითხოვდა ერის ინტელექტუალური, მატერიალური და სოციალური პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას, ქვეყნის განვითარების სტრატეგიის სწორად განსაზღვრას და ეროვნული ინტერესების ერთი ნებისადმი დაქვემდებარებას, რომ ქვეყანა ახალ წყობაზე ნაკლები დანაკარგებით გადასულიყო. მოვლენებს დღევანდელი გადასახედიდან და გამოცდილებიდან თუ შევხედავთ, სრულიად ლეგიტიმური კითხვები შეიძლება გაჩნდეს, იყო თუ არა მზად საქართველო ეკონომიკის რადიკალური შეცვლისთვის, რამდენად სწორი იყო ხელისუფლებისა და საზოგადოების, კერძოდ, მისი არაფორმალურ გაერთიანებად ჩამოყალიბებული ყველაზე აქტიური ნაწილის დამოკიდებულება შექმნილი გამოწვევებისადმი. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ახლა რთულია, თუმცა არც მაშინ იყო ერთმნიშვნელოვანი პასუხი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობად წოდებულ პოლიტიკური ჯგუფებში, რომლებიც 1987–1990 წლებში ყველაზე რადიკალური, ხმაურიანი, მეტწილად გაუაზრებელი, ეკონომიკისთვის საზიანო მოქმედებებით გამოირჩეოდნენ, გაერთიანებული იყო სხვადასხვა მენტალობის ადამიანები, იყო მიტმასნილი ძალებიც, რომელთა უმეტესობას ქვეყნის მოწყობასა და მომავალზე განსხვავებული, ერთმანეთთან შეუთავსებელი ხედვები გააჩნდათ. საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენაში ეროვნული მოძრაობის მნიშვნელობა, ადგილი და როლი უდაოდ დიდია, მისი ნებისმიერი სახით დაკნინება დაუშვებელია, მაგრამ ისევ ქვეყნის მომავლისთვისაა აუცილებელი, რომ ყველაფერი ობიექტურად შეფასდეს, ბრძანებს ბატონი ნოდარ ჭითანავა, რაშიც სრულიად ვეთანხმებით.

იმ მოულოდნელობებითა და ახალ-ახალი მყისიერი გამოწვევებით სავსე პერიოდში, **საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ, პოლიტიკურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ყველაზე მკვეთრი ნაბიჯი 1990 წელს გადადგა, როცა საქართველოს უმაღლესმა საბჭომ, ანუ საბჭოთა ორგანომ, გადაწყვეტილება მიიღო — „საქართველოს ოკუპირებულ და ანექსირებულ ქვეყნად აღიარების შესახებ“. საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენის ურთულეს გზაზე, ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის აქტი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად გაგებული და შეფასებული.**

აკადემიკოსმა **აპოლონ სილაგაძემ** თავის წიგნში „**ქართული იდეა**“ მომხდარი ასე შეაფასა: – „1990 წლის მარტში, საქართველოს უმაღლესმა საბჭომ (ხაზგასმით, საბჭოთა ორგანომ) გადადგა უპრეცედენტო ნაბიჯი, 1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოში წითელი არმიის შემოსვლას მისცა აგრესიის კვალიფიკაცია, საქართველო აღიარა ოკუპირებულ და ანექსირებულ ქვეყნად და გააუქმა პრაქტიკულად ყველა ძირითადი საკანონმდებლო აქტი, რომელიც 1921 წლის თებერვლის შემდეგ იყო მიღებული, მათ შორის 1921 წლის მაისის სამოკავშირეო ხელშეკრულება, — ამის შემდეგ, იურიდიულად, საქართველო საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა. ეს უნიკალური გადაწყვეტილება იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი წვლილი შეიტანა დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ ამ აქციას წინ უსწრებდა ხელისუფლების თანამიმდევრული ნაბიჯების მთელი სერია: საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილი იქნა შესწორებები, რის შედეგად ერთ-ერთი მუხლი განმარტავდა, რომ საქართველოს სსრ არის არის სუვერენული სახელმწიფო, რომელსაც აქვს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლის წმიდათაწმიდა უფლება, ხოლო ამ უფლების ნებისმიერი შეზღუდვა ცენტრის მხრიდან, ნიშნავს ქვეყნის ავტომატურად გასვლას საბჭოთა კავშირიდან. იგივე შესწორებები აღიარებდნენ საქართველოს კანონების უზენაესობას საკავშირო კანონების წინაშე.

მთელ ამ ისტორიას, მხოლოდ ერთი კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს, საბჭოთა საქართველოს ქართველობა — ერთიანად ეროვნული სუვერენიტეტის მატარებელი ძალა იყო (უსამართლობა და დანაშაული იქნება, თუ ვინმე სერიოზულად ფიქრობს ამ ნიშნით მის დიფერენცირებას). ის ისეთივე ძალა იყო, როგორც მისი წინამორბედები, და შესაფერის დროს უცდიდა, რათა სუვერენობის ისტორიულად ჩამოყალიბებული უნივერსალური თვისება აემოქმედებინა“.

„ამ შეფასებას არა მხოლოდ ვიზიარებ, არამედ ვადასტურებ, როგორც აღნიშნული გადაწყვეტილებების მიღების ერთ-ერთი უშუალო მონაწილე“, წერს ნოდარ ჭითანავა, „ამ გადაწყვეტილებით, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ, ფაქტობრივად

ნოდარ ჭითანავა – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. 1962 წლიდან პარტიულ სამუშაოზეა, 1974-1990 წლებში იკავებდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის, მინისტრთა საბჭოს პირველი მოადგილის, საქართველოს ცეკას მდივნის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობებს. 1991 წლიდან მუშაობდა სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის მინისტრად. 1993-2004 წლებში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

მოამზადა ქვეყნის სრული სუვერენიტეტის აღდგენა-გაფორმების პოლიტიკური და იურიდიული საფუძველი. ცივილური, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, კანონიერი დასაბამი მისცა დამოუკდებლობის დეკლარირებას და სხვა აქტებს, რომლის მიღების ინიციატივა, გამბედაობა და შემოქმედება დღეს ცალმხრივად მიეწერება ხელისუფლებაში მოსულ ეროვნულ ძალებს“.

გადაჭარბებულად და ფაქტების დამახინჯებად მიიჩნევს მაშინდელი მთავრობის თავმჯდომარე იმის მტკიცებას, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, მშვიდობიანი ბრძოლის ფორმების გამოყენებით აიძულა მმართველი კომუნისტური რეჟიმი, თავისივე კანონების დაცვით, საკუთარი თავი ფაქტობრივად უკანონოდ გამოეცხადებინა. იმ ხანად ხელისუფლებას გააჩნდა საკმარისი ძალა და გავლენა, რომ სხვის „იძულებას“ არ აჰყოლოდაო – ბრძანებს ნოდარ ჭითანავა.

ძნელია არ დაეთანხმო ბატონი ნოდარის პოზიციას, რომ **საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებაში ყოველთვის ჭარბად იყვნენ ადამიანები, რომლებიც ქართველთა მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის ბრძოლის ჟინს და გენეტიკურ კოდს ატარებდნენ**, თუმცა მოქმედებებში მეტ წინდახედულობას, რადიკალიზმის მიმართ სიფრთხილეს ავლენდნენ და შესაფერის დროის ძიებაში იყვნენ. ამ პრინციპით მოქმედებდა ხელისუფლება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების გააქტიურებამდეც. საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის აღდგენა-გაფორმებაზე კონცენტრირებული ძალისხმევის მიმართვასთან ერთად, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში დაიწყო და 1980–1990 წლებში უკვე მიმდინარეობდა ქვეყნის ეკონომიკის თვისებრივი გარდაქმნების არასტანდარტული ღონისძიებები. 1989–1990 წლებში საბჭოთა საქართველოს უმაღლესმა საბჭომ მიიღო რამდენიმე პოლიტიკური გადაწყვეტილება, საბაზრო პრინციპების დამკვიდრების დაჩქარების შესახებ. მთავრობამ მიიღო ნორმატიული აქტები კოოპერატივების განვითარების, გლეხებისთვის მიწის ფართობების გამოყოფის, საიჯარო ურთიერთობების განვითარების, მთის ზონაში კოლმეურნეობების ბაზაზე გლეხური (ფერმერული) მეურნეობის შექმნის თაობაზე და ა.შ. ეს არ არის ლიტონი სიტყვები, საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს კარგად ახსოვს ეს ყველაფერი და თუ ეს ხმამაღლა განაცხადე და სინანული გამოთქვი, რომ განხორციელება არ დასცალდა მაშინდელ ხელისუფლებას, უცხოური, მათ შორის, საეჭვო წარმომავლობის გრანტებით მსუყედ ნაკვები „პატრიოტ-დემოკრატები“, რომელთა განათლებისა და ინტელექტის დონე, ნულს არის ჩაცილებული, რეტროგრადად, კომუნისტური წყობის აპოლოგეტად და რაც მთავარია, კრემლის აგენტად, ანუ სამშობლოს მოღალატედ გამოგაცხადებენ.

ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის ორიენტაციის, არჩევანის შეფასებისას, აუცილებლად უნდა იყოს განხილული სამოქალაქო საზოგადოების სპექტრის პოზიციის გავლენით მიღებული გადაწყვეტილებები და დაშვებული შეცდომები, აღნიშნავს ნოდარ ჭითანავა. ეს სამოქალაქო საზოგადოება, ყოველშემთხვევაში მისი ნაწილი, „მოფერებით“ მესამე სექტორს რომ უძახის გრანტიჭამიათა „საძმო“, 80-იანი წლების მიწურულიდან „აქილევსის ქუსლად“ ექცა საქართველოს. ამათ, რომ უსმენ, რწმუნდები, რომ საქართველოს გარდა, ყველა ქვეყნის ინტერესს ემსახურებიან, თუმცა დავუბრუნდეთ, ჩვენი წერილის თემას.

1990 წელს, საქართველოში ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის სამი კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომა მოაზრებოდა: პირველი, ოფიციალური (იმპერიული), რომელიც „პერესტროიკის“ ფილოსოფიით საზრდოობდა, რაც დემოკრატიული გარდაქმნების შემდეგ, საბჭოთა იმპერიის საზღვრებში, სოციალისტური ეკონომიკის

საბაზრო საწყისებზე, ანუ მე-19 საუკუნის კლასიკური კაპიტალიზმის მოდელზე გადაყვანას, რომელიც კერძო საკუთრებას და თვითრეგულირების ტრადიციულ მექანიზმებს უნდა დაფუძნებოდა. მეორე იყო არაოფიციალური, არაფორმალური მიდგომა, რომელიც თვისობრივად განსხვავებულ პოლიტიკურ ფილოსოფიას ეყრდნობოდა, გულისხმობდა სახელმწიფო დამოუკიდებლობას, ანუ საბჭოთა იმპერიის საზღვრებიდან გასვლას და ეროვნული ეკონომიკის იმავე პრინციპებით, მაგრამ უფრო მკაცრ ფორმებში გარდაქმნას, რაც შეეხება მესამე მიდგომას, ის საჯაროდ გაცხადდა, როგორც საქართველოს მაშინდელი (კომუნისტური) ხელისუფლების ოფიციალური პლატფორმა, რომელიც გულისხმობდა სამართლებრივი, მატერიალური, ორგანიზაციული საფუძვლების შექმნას და ეროვნული ეკონომიკის თანდათანობით, ეტაპობრივად, თანამიმდევრულად გარდაქმნას შერეულ (მრავალსუბიექტიანი საკუთრებითი ურთიერთობის) ეკონომიკურ სისტემად. ამ ვარიანტში ეკონომიკის ტრანსფორმაციისთვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სახელმწიფოს, როგორც წარმმართველ ძალას და განსაზღვრული იყო მისი აგებულების პრინციპებიც.

გათვლილი იყო ორი შესაძლო პერსპექტივაც: საქართველო 1991 წლიდან, ფაქტობრივად საბჭოთა კავშირის ბაზაზე დაფუძნებული კონფედერაციული პოლიტიკური გაერთიანების წევრი იქნებოდა, შესაბამისი სამართლებრივი ბაზა უკვე არსებობდა. პროექტის ავტორთა ვარაუდით, ეს იქნებოდა ქვეყნის დროებითი პოლიტიკური სტატუსი. ამ პერიოდში უნდა მოემზადებინათ ეროვნული ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე გადასვლის წინაპირობები, რაც ევოლუციური გზით უნდა მომხდარიყო. ეს გზა უფრო მისაღებად მიგვაჩნდაო, რაც სრულიად გამართლებული იყო. მეორე — საბადარიგო გეგმა ამოქმედდებოდა, თუ ექსტრემალური პირობების გახანგრძლივებისას უშუალოდ დადგებოდა პოლიტიკური სუვერენიტეტის მიღების შესაძლებლობა თუ აუცილებლობა, ეკონომიკური გარდაქმნები, საქართველოს მთავრობის მიერ შემოთავაზებული მოდელით განვითარდებოდა. კონცეფციის რეალიზაციის შემთხვევაში, გარდამავალ ეტაპზე, საკუთრების ფორმების პლურალიზმის პირობებში, რესპუბლიკის ეკონომიკა ჩამოყალიბდებოდა, როგორც მრავალწყობიანი. მისი ოპტიმალური სტრუქტურაც, ეკონომიკის განვითარების შედეგად შეიქმნებოდა. პროფესიონალთა აზრით, მხოლოდ ასეთ სტრუქტურას შეეძლო საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისთვის შეექმნა მყარი ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძვლები.

ერთი ძალზე საინტერესო ინფორმაცია, რომელიც დარწმუნებული ვართ, საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის და ჩვენც სულ ახლახან, ბატონ ნოდარ ჭითანავას მონოგრაფიის გაცნობისას შევიტყვეთ, ელიას მთაზე წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობას კომუნისტების მმართველობის პერიოდში, 80-იანი წლების ბოლოს ჩაეყარა საფუძველი. ამ ტაძრის აგების იდეა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს გამოცხადებით ეუწყა. საქართველოს საპატრიარქოსა და ხელისუფლებას შორის საკათედრო ტაძრის მშენებლობის თაობაზე ოფიციალური მიმოწერა 1988 წლის აგვისტოში დაიწყო. 1988 წლის 5 ნოემბერს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განკარგულებით, შეიქმნა ეკლესიის ასაშენებელი ადგილის შემრჩევი კომისია, რომელსაც ხსენებული უწყების თავმჯდომარე ირაკლი ანდრიაძე უხელმძღვანელებდა. კომისიის შემადგენლობაში მთავრობის წევრებთან ერთად მეცნიერებისა და საზოგადოების წარმომადგენლებიც შევიდნენ. 1989 წლის 23 თებერვალს აღმასკომმა გადაწყვიტა ტაძრის ასაშენებლად ბარათაშვილის აღმართის ქიმზე შერჩეული ადგილი გამოყოფილიყო. აღმასკომმა დაავალა შესაბამის სამსახურებს მოემზადებინათ არქიტექტურულ-დაგეგმარებითი დავალება და კონკურსისთვის საჭირო მასალები. მიუხედავად იმისა, რომ ტაძრის ასაშენებელი ადგილი მოგვიანებით შეიცვალა, კომისიის შექმნა და აღმასკომის დადგენილება ნიშნავდა იმას, რომ ეკლესიის აშენების საკითხი გადაწყვეტილი იყო. „ბევრი არც დაიჯერებს, რომ საბჭოთა საქართველოში ასეთი უნიკალური მოვლენა მოხდა. იმ დროს ასეთი გადაწყვეტილების მიღებას, რესპუბლიკის პოლიტიკური ხელმძღვანელობის თანხმობა სჭირდებოდა. საქართველოს ცეკას პირველმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა მხარი დაუჭირა პატრიარქის ინიციატივას, სამების ტაძრის აშენების თაობაზე. ბატონმა ჯუმბერმა ობიექტურად გააცნობიერა სამების ტაძრის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და შესაბამის ინსტანციას, დედაქალაქის აღმასკომს დაევალა ტაძრის აშენებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა. რომ არა მისი პოლიტიკური ნება, იმ პერიოდში, ტაძრის აშენებისთვის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება შეუძლებელი იყო. სამების ტაძრის აშენების შესახებ პოლიტიკური და ადმინისტრაციული გადაწყვეტილება საბჭოთა საქართველოში მიიღეს, დარწმუნებული ვარ, რომ არა ისტორიული გარემოების შეცვლა, სამების ტაძარი საბჭოთა პერიოდშივე აშენდებოდა.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

თუ ქვეყანას არ აქვს იდეოლოგია, ის სახელმწიფოდ ვერ იქცევა

გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში ბატონი ბატონო მამუკა არეშიძე:

— ბატონო მამუკა, სტრასბურგში „რუსთავი-2“-ის საქმე ქიბარ ხალვაშმა მოიგო. გვეუბნებიან: დემოკრატიას საფრთხე დაემუქრაო. მართლა ასეა?

— რა თქმა უნდა, არა. სისულელეა იმის თქმა, რომ ერთ-ერთ ტელევიზიაში მფლობელის შეცვლის გამო ქვეყანაში დემოკრატია იღუპება. ეს იმას ნიშნავს, რომ „რუსთავი-2“-ზე ყოფილა საქართველოში დემოკრატია დამოკიდებული, რაც ასე არ არის. კი ბატონო, გვარამიას ამ ნათქვამს ზედმეტ პათოსს და მისთვის დამახასიათებელ სითავხედეს მოვაშორებთ, შეგვიძლია ერთი რამ ვთქვათ: რასაკვირველია, ქვეყანაში აუცილებელია ხელისუფლების მიმართ ოპოზიციაში მყოფი მედია-საშუალება, თან ძლიერი, თუნდაც, კონსტრუქციული კრიტიკის ფორმატის გამო. არ შეიძლება ხელისუფლება მოდუნებული, მიძინებული იყოს. „რუსთავი-2“-ს კონსტრუქციული კრიტიკის ორგანოდ არ აღვიქვამ, არამედ იგი პარტიული ტელევიზიაა და აქედან გამომდინარე, თეთრის შავად მოჩვენების საქმის ოსტატია. „რუსთავი-2“-ის ქმედებას დემოკრატიასთან არავითარი საერთო არ აქვს. არსებობენ სხვა, კრიტიკულად განწყობილი ტელევიზიები, რომელთაც შეიძლება კონსტრუქციული ვუწოდოთ. შესაძლოა მათი ტონი არ მოგვწონდეს, მაგალითად, „ტვ-პირველი“-ის, მაგრამ იგი ბევრად უფრო მაღალი დემოკრატიული ნიშნის მატარებელია, ვიდრე „რუსთავი-2“. ვიმეორებ, „რუსთავი-2“ არის კლასიკური პარტიული ტელევიზია, რომელსაც ისეთივე პოლიტიკური დღის წესრიგი აქვს როგორიც „ნაციონალურ მოძრაობას“.

— ბატონო მამუკა, დღეს ოპოზიცია ყველაფერს რუსეთს უკავშირებს. მაშინვე გაჟღერდა: ხალვაში რუსეთის კაციაო. გამოდის, პუტინის ყოფილა სტრასბურგიც, ნატოც, ევროკავშირიც, ერთი ეგ არის მშვილდაძეს ვერ მოუხერხა ვერაფერი. ყველა გზა პუტინისკენ მიდის?

— ეს გადაჭარბებული, სულელებზე გათვლილი ნათქვამი — მუდმივი მტრის ხატის შექმნა, რათა „ობივატელი“ შუაზე გახლეჩილი, დაშინებული და სტრესულ მდგომარეობაში იყოს. ნორმალური ადამიანი სიმართლეს და ტყუილს გადასარევად ხვდება. ახლა, რაც შეეხება თავად რუსეთის მოქმედებას. რასაკვირველია, რუსეთისთვის სამხრეთ-კავკასიაში მიმდინარე მოვლენები მნიშვნელოვანია. კერძოდ, იქ, საკუთარი როლი და ისიც, რომ სამხრეთ-კავკასიური ქვეყნები მისი კურსის მატარებელნი იყვნენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და ამ თვალსაზრისით ყველაფერს აკეთებს. მით უმეტეს, რომ სამხრეთ-კავკასიაში დღეს, უკვე, მისი ერთგული მოკავშირე სომხეთი თვალებს აქეთ-იქით აცეცებს და ხშირ შემთხვევაში, ამერიკის ინტერესებს უფრო მეტ ანგარიშს უწევს, ვიდრე რუსეთისას. ასე, რომ ვთვლი: ბოლო მოვლენები რაც საქართველოში ვითარდებოდა, ირიბად თუ პირდაპირ რუსეთის აქტივობებთან არის დაკავშირებული. მგონია, რომ ყველაფერ იმაში, რაც პანკისიდან დაიწყო, რუსული კვალი ჩანს. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ აქ, სხვა კვალზეც გავდივართ. ეს მოვლენები ლოგიკურად რომ აღვიქვათ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ გეო-პოლიტიკური ვითარება, რაც დღეს, ჩვენს რეგიონში, ძალიან რთულია. ჯერ ერთი ვცხოვრობთ დროში, როდესაც ახალი მსოფლიო წესრიგი იწერება. აქედან გამომდინარე, სტაბილური მდგომარეობა ვერ იქნება. მუდმივად ხდება ძალთა მოსინჯვა, გადალაგება და ა.შ. მაღალი მსოფლიო წესრიგის თვალსაზრისით, საინტერესო პროცესები ხდება კასპიის ზღვის აუზში. გასულ წელს, კასპიის ზღვასთან დაკავშირებით ძალიან სერიოზული გადაწყვეტილებები იქნა მიღებული, რაც ყველასთვის დამაკმაყოფილებელი არ იყო. ასეთივე რთული ვითარებაა შავი ზღვის აუზში, სადაც გავლენებისთვის რუსეთი და ნატო ერთმანეთს ღიად ებრძვიან. ჩვენგან არცთუ ისე შორეულ სამეზობლოში მდებარეობს სირია, სადაც ურთიერთკონფრონტაციაში ჩვენი რამოდენიმე მეზობელი და პარტნიორია ჩართული. აქვე, რუსეთი, მაქსიმალურად, ცდილობს თურქეთი დაიახლოვოს. ეს ყველაფერი გეო-პოლიტიკური პროცესებია, რასაც სამხრეთ-კავკასიაზე გავლენა აქვს. რუსეთი მაქსიმალურად ცდილობს ამ გავლენის მხოლოდ თავის საკუთრად შენარჩუნებას, თუმცა, იგივე მცდელობა აქვს დასავლეთს აშშ-ს სახით. ამ კონტექსტში არ უნდა დაგვავიწყდეს არც ჩვენი სამეზობლოს წარმომადგენელი მაგალითად, თურქეთი, რომელიც ასევე, თავისი გავლენების გაძლიერებას ცდილობს. მიუხედავად ხელისშეშლისა, თურქეთი ძალიან ეფექტურად მუშაობს არა მხოლოდ სამხრეთ-კავკასიაში, არამედ ჩრდილოეთ-კავკასიაშიც. აი, ამ ვითარებაში ჩვენ დაკავებული ვართ არა სახელმწიფოს მშენებლობით, არამედ დავით — ვინ მართალია, ვინ მტყუანი, გახარია უნდა წავიდეს თუ დარჩეს და ა.შ. შიდა პრობლემები მეორე ხარისხოვანია. მართალია, ტრაგედია ნამდვილად მოხდა, ვერავინ უარყოფს — ადამიანებმა თვალი დაკარგეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყნის ინტერესები გვერდზე გადავდოთ. დემოკრატია მნიშვნელოვანია, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ სახელმწიფოს მშენებლობაც არანაკლებ საყურადღებოა. დემოკრატია სახელმწიფოს არსებობის ქვაკუთხედია, მაგრამ იმისთვის, რომ სახელმწიფო შეიქმნას, სხვა ატრიბუტიკაც არის საჭირო. ვთვლი, რომ ჩვენ, ჯერჯერობით, სახელმწიფო არ ვართ მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ატრიბუტიკა გვაქვს. ჩვენ, ჯერ ვართ მხოლოდ ქვეყანა, რომელსაც სჭირდება მშენებლობის პროცესის შეუქცევადობა. ეს იქნება ეკონომიკა, სოციალური საკითხები, ადამიანების უფლებები თუ სხვა. როცა მეკითხებით: არის თუ არა რუსეთი ყველაფერში ჩართული, ამას ვერ გეტყვით, მაგრამ ის, რომ კვალი მუდმივად ჩანს და რუსეთი სამხრეთ-კავკასიაში თავის ინტერესებს არც მალავს, მათ შორის, საქართველოში, ეს ფაქტია.

— ახლა, ასხენეთ: სახელმწიფო არ ვართო. საკაშვილი სახელმწიფოს მშენებლობას ეძახდა გზების დაგებას, შადრევნების დადგმას და ა.შ. როგორ ვაშენოთ, რეალურად, სახელმწიფო?

— გზების, შენობების თუნდაც, სხვა ინფრასტრუქტურების მშენებლობა ძალიან კარგია, მაგრამ ეს არის ფრაგმენტი, რომელსაც სახელმწიფოს მშენებლობაში თავისი როლი აქვს. მთავარია გეო-პოლიტიკურ სივრცეში სახელმწიფოს ფუნქციისა და როლის განსაზღვრა. ამ წუთას ერთადერთი ფუნქცია გვაქვს, რაც საერთაშორისოდ, მეტ-ნაკლებად, მიმზიდველია. ეს არის ტრანზიტი. არ შეიძლება ქვეყანას მხოლოდ ეს ფუნქცია ჰქონდეს, არამედ მას იდეოლოგია უნდა ჰქონდეს. ამერიკული საზოგადოება დღემდე იდეოლოგიური პოსტულატით ცხოვრობს, რასაც „ამერიკული ოცნება“ ჰქვია, რაც ძალიან მარტივი და გასაგებია. ჩვენთან, ეს არ არის. რუსეთშიც არის იდეოლოგიური ნიშნები — მახინჯი თუ სწორი, ეს სხვაა. ასევე, მეზობელ სომხეთში, აზერბაიჯანშიც, ჩვენთან — არა იმიტომ, რომ დაკარგული და ოკუპირებული ტერიტორიების სახით სერიოზული პრობლემები გვაქვს. ჩვენ, არ გვაქვს ისეთი მომხიბვლელი ეროვნული იდეა, რომელიც იდეოლოგიურ რანგში გადავა და რომელსაც მსოფლიოს შევთავაზებთ. მაგალითად, ისეთი როგორიც არის კავკასიის ცენტრი. ასევე, არ გვაქვს სახელმწიფო აქტიურობის რანგში აყვანილი ისეთი იდეა, რაზეც ჩვენი პრემიერი საუბრობს — ეკონომიკური ჰაბი. ეს ყველაფერი, ჯერჯერობით, ლაპარაკის დონეზეა. ანუ, რა მინდა ვთქვა: თუ ქვეყანას არ აქვს იდეოლოგია, ფუნქცია, ის სახელმწიფო ვერ იქნება. პირველ რიგში, ეს არის განსასაზღვრი. მიაქციეთ ყურადღება როგორ მოქმედებდნენ ჩვენი წინა თაობები იგივე, ილია ჭავჭავაძე. მან, პირველ რიგში, ქართული ენა ქვეყნის იდეოლოგიის საფუძვლად აქცია. ქვეყანა შეკრა. ილიას თანამებრძოლებმა არაერთი ნაბიჯი გადადგეს იმისთვის, რომ ქვეყნის გაერთიანების იდეოლოგიური საფუძვლები შეექმნათ. ამის ნიშანი იყო იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“. ეს სახელმძღვანელო არ გახლავთ, უბრალოდ, ენის სასწავლი წიგნი, არამედ იგი იდეოლოგიის ნაწილია. შეიძლება დღეს მოძველებულია, მაგრამ ზოგი რომ ამბობს: ამის სკოლაში დაშვება არ შეიძლებაო, ეს, უბრალოდ, ჩვენი წინაპრების უპატივცემულობა და იდეოლოგიის ნგრევაა. შემდგომმა თაობებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ გაერთიანებული საქართველოსთვის ის ფუნქცია დაებრუნებინათ, რაც მას კავკასიაში ისტორიულად ჰქონდა. ეს არის კავკასიოცენტრიზმი. ამის იდეოლოგები იყვნენ საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორები: არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ჩიტაია და ბევრი სხვა. მათ, საბჭოთა პირობებშიც კი მიაღწიეს იმას, რომ თბილისი კავკასიის სულიერ ცენტრად აქციეს. უამრავი კავკასიელი განათლებას აქ იღებდა. ტერმინი — ქალაქი, დღემდე, უფროსი თაობის კავკასიელებში თბილისთან ასოცირდება. თავად მომისმენია, 90-იანი წლების შუაში, მოხუცი ყაბარდოელისგან, კითხვაზე: სად მიდიხარ — ქალაქშიო. თბილისი იყო მათთვის ქალაქი. ასე, რომ

სახელმწიფოს მშენებლობა ხდება ფუნქციის განსაზღვრით, იდეოლოგიის შექმნით. მერე, პარალელურად, ვლინდება სტრატეგიული სამოქმედო გეგმა და იწყება მშენებლობა. ეს მოშლილია. შედეგად, მოშლილი გვაქვს უსაფრთხოებაც, საზღვრებიც და სხვა.

— ბატონო მამუკა, საბაბად ქცეული გავრილოვის მიღმა, სხვა ქვე-მდინარებები ხომ არ იმალება, იგივე, გეო-პოლიტიკური ჭიდილი რუსეთსა და დასავლეთს შორის?

— რა თქმა უნდა, ასეა. საქართველოში დასავლური ფასეულობების დისკრედიტაციის მიზნით, ფსევდო-ფასეულობების დაპირისპირება ხდება. გავრილოვი არის მართლმადიდებელ პოლიტიკოსთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ხომ. როცა ფსევდო-ფასეულობას ვახსენებ, მის სტატუსს ვგულისხმობ. ის არის დუმის დეპუტატი კომ.პარტიიდან. როგორ შეიძლება ერთდროულად იყო მართლმადიდებლური ორგანიზაციის ხელმძღვანელი და თან კომუნისტი. ეს გამორიცხულია. კომუნისტური იდეოლოგია მართლმადიდებლობას და საერთოდ, რელიგიას გამორიცხავს. ეს უკვე ცინიზმია. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვინ არის გავრილოვი. იგი არის ბერძნების შთამომავალი. მან, არაერთხელ მოინდომა დუმაში შეძრომა, მაგრამ ვიდრე ფედერაციის საბჭოს ერთ-ერთი დეპუტატის „ხელისბიჭი“ არ გახდა, რომელიც ტულიდან არის და რომელსაც 2016 წლამდე, პირადად პუტინის მხრიდან, საქართველოსთან ურთიერთობები ჰქონდა ჩაბარებული, ეს ვერ მოახერხა. გავრილოვიც ტულაშია დაბადებული და გაზრდილი. ანუ, იგი გენერალ მოროზოვის „ხელის ბიჭი“ გახდა და დუმაში ასე მოხვდა. იგი გამოყენებული იქნა ამ პროვოკაციისთვის — ჩემთვის ეს დაუდასტურებელი რეალობაა. საბუთი არ მაქვს, თორემ, ლოგიკა ამას მკარნახობს. ეს ერთი საკითხი. თუ ჩემი სიტყვა სანდო არ არის, შემიძლია მეორე რამ ვთქვა: ილარიონოვი რომელსაც, რასაკვირველია, პუტინისადმი განსაკუთრებულ კეთილგანწყობაში ბრალს ვერავინ დასდებს, შეიძლება პირიქით ითქვას: ერთმანეთის მიმართ ანტაგონისტურად არიან განწყობილნი და მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი იყო, დღეს ამბობს: ის რაც საქართველოში მოხდა პროვოკაცია იყო, რაშიც დიდი ალბათობით გავრილოვი ჩართული იყო, მაგრამ ის, რაც მერე, „რუსთავი-2“ის ეთერში მოხდა (იგულისხმება გაბუნიას მონოლოგი პუტინისადმი), ამ საქმეში დიდი ფული იყო გადახდილი, რაშიც სულ მცირე „რუსთავი-2“-ის ხელმძღვანელობა მონაწილეობდაო. ზუსტად იმის თქმა: იცოდა თუ არა გაბუნიამ, რომ ამაში დიდი ფული იყო გადახდილი, არ შემიძლია, მაგრამ ის, რომ ნამდვილად ასე იყო და ამაში „რუსთავი-2“-იც იყო ჩართული, თავს დავდებო. ჩვენ რუსეთს აღვიქვამთ როგორც ერთი კაცის — პუტინის რუსეთს. ეს, ასე არ არის. ახლახან, ხანგრძლივი შეხვედრა მქონდა სტამბულში აფხაზებთან. მათ მითხრეს: პუტინის დაპირისპირება ფე-ეს-ბესა და გრუს გენერლებს შორის იმ ტრანშებთან დაკავშირებით არის, რომელიც მოსკოვიდან ირიცხება. მაგალითად, ამ შემთხვევაში, აფხაზეთში. ისინი, აქედან, თავის წილს იღებენ. როგორც კი ერთ-ერთ მხარეს წილი არ მიუვა, რაც აფხაზებზე არ არის დამოკიდებული, აფხაზეთის პოლიტიკურ სივრცეში მაშინვე ექსცესები იწყება. რასაკვირველია, აფხაზეთი, მათთვის, უმდაბლესი ხარისხის ლაბორატორიაა. საქართველოშიც იგივე ხდება. ხშირ შემთხვევაში, ერთი ხელი ერთს აკეთებს, მეორე — მეორეს. ერთი რამ ძალიან კარგად ვიცი: როდესაც შარშან, გაზაფხულზე ე.წ. სამხრეთ-ოსეთთან დაკავშირებით სხვა ტიპის ბრძანება იყო გაცემული, მეორე ჯგუფმა პირველი ჯგუფის ჯინაზე როგორ დაიწყო მობილიზაცია. იმიტომ კი არა, რომ აქ, პუტინი სუფთაა და არაფერ შუაშია, უბრალოდ, ჩვენი გადასახედიდან მთავარი პრობლემა საქართველოა, მათთვის კი — აშშ და ზოგადად, დასავლეთი. ასევე, პრობლემაა ჩინეთი, სამხრეთის საზღვრები და უამრავი სხვა რამ. აქედან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში, ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა ვერ ხდება. ქვეყანაა ასეთი, სადაც კორუფციას უფრო მეტი ადგილი უჭირავს, ვიდრე სახელმწიფოს შენების საქმეს. ამიტომაც არის, რომ ერთი ბრძანება გაიცემა და სრულდება მეორენაირად. ასე, რომ ნუ გაგვიკვირდება თუ გავრილოვის სავარძელში ჩაჯდომა და გაბუნიას ასეთი გამოსვლა ერთმანეთთან გარკვეულ კავშირშია. ილარიონოვის ინტერვიუც სწორედ ამას მოწმობს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ რასაკვირველია, ბევრი პროცესი, რაც საქართველოში ხდება, გარედან იმართება.

— ამ პროვოკაციების შედეგია ის, რომ ეკონომიკას დარტყმა მიადგა. ვის იმედზე ვართ. ევროპამ ხომ შეიძლება ისევე შეგვატოვოს რუსეთს, როგორც 1921 წელს?

— ევროპას არაერთხელ მივუტოვებივართ. ახლაც, „რუსთავი-2“-ის და მისი პატრონების გადასახედიდან რომ შევხედოთ, ევროპამ, დემოკრატიის მშენებლობის პროცესი, ფეხზე დაიკიდა. ასე ამბობენ „რუსთავი-2“-ს თანამშრომლები და „ნაცმოძრაობა“. რა მინდა გითხრათ: ევროპა თავის საქმიანობაში თანმიმდევრული რომ ყოფილიყო, ჯერ ერთი, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია არ მოხდებოდა, მეორეც, 90-იანი წლების დასაწყისში დაშვებული შეცდომების გამოსწორების პროცესი დაიწყებოდა და რუსეთი უფრო მკაცრად იქნებოდა დასჯილი. როგორ იქცევა ევროპაა? —რუსეთს რამოდენიმე დღით დაუნიშნავს სანქციებს, მერე მოუხსნის, ევროსაპარლამენტო ასამბლეადან მოკვეთავენ, მერე, ისევ მიიღებენ. ეს ხომ პირველად არ მომხდარა. ჩეჩნეთის მოვლენების გამო საპარლამენტო ასამბლეა ორჯერ დაატოვებინეს, რამოდენიმე თვეში ზარ-ზეიმით მიიღეს უკან. იგივე მოხდა ევროპარლამენტთან, ასევე, სანქციებთან დაკავშირებით. ამაშია საქმე — ძლიერი უნდა იყო, რათა ანგარიში გაგიწიონ. ჩვენ, ძლიერი ქვეყნის შექმნა ვერ შევძელით. მუდმივად ვცდილობთ ჩვენი პრობლემები სხვებს გადავკიდოთ. ლოგიკურია, რომ ამ სხვებსაც უკვე მობეზრდათ ჩვენი გულისთვის ნერვების შლა. თუ ინიციატივას საკუთარ თავზე არ ავიღებთ და მოძლიერებას არ დავიწყებთ, არაფერი გვეშველება. ერი სახელმწიფოს მოძლიერების პროცესში ძლიერდება. როცა ყველა ჩაბმულია ერთი მიმართულებით — გახარია უნდა წავიდეს თუ დარჩეს, მშენებლობაც შეჩერებულია, ერის გაძლიერებაც და თავიდან ბოლომდე ისევ სხვაზე დამოკიდებულებას ვიღებთ.

— გარდა იმისა, რომ დღემდე ვარკვევთ: გახარია უნდა გადადგეს თუ არა, ალოგიკური პროცესი მიდის — გახარიას გადადგომით ანტისაოკუპაციო აქციას ასრულებენ. გამოდის, გახარიაა ოკუპანტი?

— ხო, ნუ, გახარია რომ გადადგეს, თურმე, ოკუპაციაც მთავრდება?! ამიტომ არის ეს ყველაფერი ფიქცია. ადამიანი რომელსაც ეს მიტინგი მიჰყავს არის პოლიტიკური ფიგურის, რომელიც პრაქტიკულად, რუსეთიდან საქართველოში გარკვეული ძალების მიერ იყო გამოგზავნილი, პრეს-მდივანი. დღეს, მას ანტისაოკუპაციო აქცია მიჰყავს. სავლეს პავლედ ქცევა — ეს არის ქართული პოლიტიკური სივრცის მუდმივი პრობლემა. ადამიანები რომლებიც გუშინ ერთს ლაპარაკობდნენ, დღეს, აბსოლუტურად, სხვა რამეს ამბობენ. ხალხი ამას ხედავს და ღიზიანდება. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ელიტის რეიტინგი დაცემულია. იგი, ცდილობს ხალხი იდიოტად გამოიყვანოს, თითქოს, ვერაფერს ხვდება.

— პარადოქსია, მაგრამ 90-იან წლებში ვინც ოკუპანტებს უჭერდა მხარს, დღეს ოკუპაციის წინააღმდეგ იბრძვიან. ამ მოვლენების შეფასება 1991-92 წლებიდან ხომ არ უნდა დაგვეწყო?

— რასაკვირველია, ეს აუცილებელი იყო. უნდა შეფასდეს და ამ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამოქალაქო თანხმობას ვერ შექმნი. ტელევიზიით თუ პრესის მეშვეობით არაერთხელ მოვიხადე ბოდიში იმისთვის, რომ მონაწილეობა მივიღე იმ ქმედებაში, რაც 1991 წლის დეკემბერში ხდებოდა. მაშინდელმა შეცდომებმა, რაც ორივე მხრიდან იქნა დაშვებული, საქართველოში სისხლისღვრები და საზოგადოების გახლეჩვა გამოიწვია. მას შემდეგ საზოგადოების გამთლიანება არ მომხდარა. ქართულ საზოგადოებაში ყოველთვის იყო ორი დაპირისპირებული მხარე, რომელიც ერთმანეთთან ომში ეროვნულ ენერგიას ხარჯავდა. ჯერ იყო შევარდნაძის გუნდი და ზვიადისტები, მერე „მოქალაქეთა კავშირი“ და „აღორძინება“, მერე ოპოზიცია და „ნაცმოძრაობა“, ახლა, არის „ქართული ოცნება“ და „ნაცმოძრაობა“. სულ ასე გრძელდება. ამაში უზარმაზარი ენერგია, ადამიანური რესურსი იხარჯება და ქვეყნის მშენებლობა ისევე, ფერხდება, როგორც მაშინ — 90-იან წლებში. ჩემი მონაწილეობის გამო იმ პროცესებში, რაც მაშინ ხდებოდა, ბოდიში იმდენჯერ მოვიხადე, რომ ახლა, უკვე, ამის კეთება მომბეზრდა. იმიტომ, რომ ვხედავ: ვინც მაშინ ჩემს გვერდით იყო, დღეს, მთავარ დემოკრატებად გვევლინებიან და ხმას არ იღებენ. თითქოს, მათი მოქმედება, აბსოლუტურად, კანონიერი და სწორი იყო. ვინც შენ ახსენე, ზუსტად იმათ ვგულისხმობ. თუ საკუთარ თავს პოლიტიკოსის სტატუსს ანიჭებ, ისიც უნდა შეგეძლოს, რომ გუშინდელი დღე გაიხსენო.

— გახარიამ აღნიშნა: გადატრიალების მცდელობა აღიკვეთაო. რატომ არ ისჯებიან დამნაშავეები?

— კითხვა, აბსოლუტურად, სამართლიანია. როცა ექსპერტები გახარიას შევხვდით, იქამდე რამდენიმე დღით ადრე ვთქვი: გახარიას ადგილას გადავდგებოდი-მეთქი. მას შემდეგ რაც იგი პირველად შეხვდა ჟურნალისტებს და ყველაფერი საკუთარ თავზე აიღო, ანუ, პასუხისმგებელი პიროვნება გახდა, ჩემი გადაწყვეტილება შევცვალე. მან საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა არამარტო მომხდარის, არამედ შედეგების, გამოძიების გამო. ვიცი, რომ მან უახლოეს მომავალში პასუხი უნდა გაგვცეს ყველა კითხვაზე. პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებმა პასუხი უნდა აგონ. არ მესმის, რატომ არ უნდა აგოს პასუხი ნიკა მელიამ, ისევე როგორც რიგითმა მონაწილეებმა. თუ ეს მალე არ დამთავრდება და საზოგადოებას არ ექნება მთლიანი სურათი თუ რა მოხდა, მაშინ გადადგომა მართლა მოუწევს.

— ბოლოს, პუტინის განცხადებაზე მინდა გკითხოთ: საქართველო ოკუპანტია?

— ამასთან დაკავშირებით ერთ ამბავს გავიხსენებ: ეს ის შემთხვევა არ არის, როდესაც პუტინს ვიღაცამ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა. 2014 წელს ეკლესიების ხელმძღვანელების შეხვედრას ვესწრებოდი, სადაც პუტინიც იმყოფებოდა. მან წარმოთქვა სიტყვა, სადაც საქართველოს ისტორიასაც შეეხო და იქ, სრულიად სხვა რამ ილაპარაკა. ასე, რომ ახლა, მან კონიუნქტურიდან გამომდინარე ისაუბრა. ამჯერად, იმდენად გადააჭარბა, რომ მერე, რუსი ისტორიკოსები შესაბამისი განმარტებებით გამოვიდნენ. თუმცა, ერთი რამ უნდა გითხრათ: ეს არის რუსული ხელმძღვანელობის თვისება — მან, ირიბად ისტორიის ფალსიფიკატორებს დავალება მისცა, რათა შესაბამისი ნაშრომები მოემზადებინათ და ნაბიჯი გადაედგათ იქეთკენ, რომ საქართველოს ისტორია ყოფილიყო ისეთი, როგორიც მან გააჟღერა. ამის მაგალითია ის რაც ორიოდ დღის წინ მოხდა — ცხინვალის დე-ფაქტო პარლამენტის წევრებმა მასალები შეაგროვეს და დუმაში მოთხოვნა გააგზავნეს, რათა რუსეთმა მათი გენოციდი სცნოს. ისინი პუტინის გამოსვლის მერე შეგულიანებული არიან ან შეიძლება მოსკოვიდან დავალება მიიღეს. მაგრამ ხაზგასმით შემიძლია ვთქვა: ის რაც პუტინმა განაცხადა, ძალიან კარგად იცოდა, რომ სიმართლე არ არის.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ევროპის შავი მომავალი

რამოდენიმე დღის წინ პარიზის პანთეონი მიგრანტებმა რამდენიმე საათით დაიკავეს. ასობით პირი ხელისუფლებისგან ქვეყანაში ცხოვრების ოფიციალური ნებართვას და პარიზელების საცხოვრებელი სახლებიდან გაყრას და უსასყიდლოდ მათთვის გადაცემას ითხოვდნენ. რამდენიმე საათის შემდეგ კი სამართალდამცველებმა პანთეონის არალეგალი მიგრანტებისგან დაცლა მოახერხეს, თუმცა მათ დემონსტრაცია ღია ცის ქვეშ განაგრძეს, რა დროსაც სამართალდამცველებმა მათ წინააღმდეგ ცრემლსადენი აირი გამოიყენეს. არალეგალი მიგრანტების დემონსტრაცია ადგილობრივმა ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ, „შავმა ჟილეტებმა“ მოაწყო, რომელიც ბოლო თვეებში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აქციებს სულ უფრო ხშირად მართავს. სამწუხაროდ, მიგრანტების პრობლემასთან დაკავშირებით წლებია ევროპულ მედიაში უკმაყოფილებას არ მალავენ მკვლევარები თუ საზოგადო მოღვაწეები. აღმოსავლეთ ევროპა დასავლეთის მიმართ აღშფოთებას აღარ მალავს.ფრანგული ლიტერატურული ფიგაროს-კორესპონდენტმა, მრავალი კვლევის ავტორმა **პოლ-ფრანსუა პაოლიმ** აქტუალური, საინტერესო ნაშრომი გამოაქვეყნა „დასავლეთის უქეიფობა, კონსერვატული რევოლუციისკენ. კონსერვატიზმი და ლიბერალიზმი“კვლევა ეძღვნება ამიერიდან თანამედროვე ფილოსოფიურ-პოლიტიკური დებატის ცენტრშო მოქცეული კონსერვატიზმის და ლიბერალიზმის დაპირისპირებას. პაოლის აზრით, უფსკრული აღარაა იმდენად მემარცხენეებსა და მემარჯვენეებს შორის რამდენადაც კონსერვატიზმსა და ლიბერალიზმს შორის. მემარჯვენეების და მემარცხენეების ფსევდო დაპირისპირებას მართავს ოლიგარქია. ეს დაპირისპირებაც რჩება, მაგრამ მთავარია კონსერვატიზმის და ლიბერალიზმის დაპირისპირება. ლიბერალიზმი მტრულად ეკიდება ყველაფერ ფესვგადგმულს და ემხრობა მომთაბარეობა-ნომადიზმს. შემდეგ ის იღებს ეგოიზმს., არ იღებს პასუხისმგებლობას საზოგადოების არავითარ ფორმაზე ლიბერალები საზოგადოებასაც უარყოფენ და ხელს უწყობს ნარცისიზმის განვითარებას.

ლიბერალურ-ლიბერტარული იდეოლოგიის მიზანია განურჩეველი და როგორც შედეგი, უფორმო მასა. განურჩევლობა იმიტომ რომ ლიბერალ-ლიბერტარების აზრით არ არსებობენ არც ქალები და არც მამაკაცები, არც თეთრკანიანები და არც შავკანიანები, არც ბრეტონელები და არც ობერნელები და არსებობენ მარტო ორფეხა ვიღაცეები რომლებმაც თვითონ უნდა ააგონ ან აღადგინონ საკუთარი თავი. ეს იდეოლოგია არ სცნობს და უარყოფს ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობებს, მეტიც, ის ეწინააღმდეგება ადამიანებისთვის ფორმის მიცემას ყოველი ცალკეული კულტურის ცხოვრების წესის და ეთიკის შესაბამისად. მომთაბარე და კოსმოპოლიტი ორფეხა არსება თვითონ ადგენს ან ირჩევს წესებს რომლებსაც ის დაიცავს. პოლ-ფრანსუა პაოლი კარგად აჯამებს ლიბერალიზმის და კონსერვატიზმის დაპირისპირების ბუნებას: ამ გაგებით ლიბერალიზმი. სოციალიზმი, ფემინიზმი, განმანათლებლებლებიდან გამოსული პროექტის მემკვიდრეობაა. მათი ობიექტია კაცობრიობის გაერთიანება უნივერსალური ადამიანის თარგზე.

კონსერვატორი არის ის ვინც უპირისპირდება ინტეგრალური ინდივიდის ბატონობას და იცავს ადამიანს რადიკალური ავტონომიის საფრთხისგან. მეტიც, საკუთარი თავისგან“ პაოლი სამართლიანად თვლის, რომ გენერალი დე გოლი გასული საუკუნის ფრანგ პოლიტიკოსებს შორის იყო ერთ-ერთი ნამდვილი კონსერვატორი. რაც არ უნდა ილაპარაკონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა და პოლიტიკოსებმა. დე გოლის ორიენტირი არ ყოფილა არც საფრანგეთის რევოლუცია და არც მისი რევოლუციონერები. მან პირველი მსოფლიო ომის წინ შეითვისა რესპუბლიკის იდეა მაგრამ ჩვენ არ ვიცით თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა ის მას. დე გოლის აზრით ერის საფუძველშია ფრანგი ხალხი. მისი აზრით ფრანგული სახელმწიფოს ლეგიტიმურობა ეფუძნება ფრანგ ხალხს. ფრანგობა კი არ დაიყვანება საფრანგეთის მოქალაქეობაზე. ფრანგი ისაა ვისი ისტორიაც საფრანგეთის ისტორიის ნაწილია.

1945 წლის 12 ივნისს მან მისწერა იუსტიციის მინისტრს:„ ეთნიკური თვალსაზრისით უნდა შეიზღუდოს ხმელთაშუაზღვისპირელთა და აღმოსავლელთა მოდინება. მათ ნახევარი საუკუნის მანძილზე დიდად შეცვალეს საფრანგეთის მოსახლეობის შემადგენლობა. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ჩრდილოელთა ბელგიელთა, ლუქსემბურგელთა, ჰოლანდიელთა, დანიელთა, ინგლისელთა, გერმანელთა…ნატურალიზაციას. საფრანგეთის ბედი, მაშინაც კი თუ ის გააგრძელებს ლეგიტიმურ კავშირებს აფრიკასთან და არაბულ-მაჰმადიანურ სამყაროსთან, არის ევროპაში რომელიც დაცული უნდა იყოს ცივილიზაციური დაკნინება-დაცემისგან, ევროპაში რომელიც უნდა აიგოს ისტორიულ ევროპულ ერებზე დაყრდნობით და არა ამ ერების წინააღმდეგ, ესაა ჩვენთვის სასურველი „ კონსერვატული რეცოლუცია“. ევროპის დე გოლისეული ხედვა სამწუხაროდ არ განვითარდა. ეროვნული ევროპის, ევროპის ისტორიული ერების და კულტურების მცველი შარლ დე გოლი არ სჭირდებათ ლიბერტარ-ლიბერალებს.

1968 წლის მაისში ლიბერტარ-ლიბერალთა ბრბოები დევნიდნენ შარლ დე გოლს ფაშისტო ფაშისტოს ძახილი თ. გამარჯვების შემდეგ ლიბერტარ-ლიბერალებმა გაავსეს ევროპა აფრიკელებით და აზიელებით. შავკანიანი აფრიკული მიგრაცია, ფენომენი ძლიერდება. 1.080.000შავკანიანი აფრიკელი და 757.000 ინდივიდი ზღვისგაღმა ტერიტორიებიდან. ამ მოსახლეობის რაოდენობა იზრდება მით უფრო სწრაფად რომ იმიგრაციის ტალღა გაუთავებელია. მოდიან ქალები რომლებიც ფრანგი ქალებისგან განსხვავებით აჩენენ ბევრ შვილს. გაუთავებელი იმიგრაცია აჩენს მრავალ სირთულეებს. გარეუბნებში გაჩნდნენ მოძალადე ბანდები. საფრანგეთში გაჩნდენ მრავალცოლიანებიც, ანუ უკვე არის პოლიგამიაც 180 000 ინდივიდი საფრანგეთში, არის **Excision** ანუ ქალის სექსუალური ორგანოების რიტუალური დასახიჩრებაც. სახარას სამხრეთი აფრიკის „დიდებული ჩვეულება“. შრომითი მიგრაციის გარდა საქორწინო მიგრაციაცაა. დაუქორწინებელი იმიგრანტი ვაჟკაცები მეუღლეს პოულობენ მშობლიურ აფრიკაში, ჩამოყავთ ეს მეუღლე საფრანგეთში და აქ მრავლდებიან. კიდევ არსებობს უფრო და უფრო მრავალრიცხოვანი და უფრო და უფრო ხილული მაჰმადიანი ჯერ-ჯერობით უმცირესობა. საფრანგეთში უკვე თუ ჯერ-ჯერობით ორი მილიონი ზანგია. მარტო აფრიკული იმიგრაცია, უნდა შეადგენდეს

მოსახლეობათა გეოპოლიტიკის ინსტიტუტმა ათი წლის წინ ჩაატარა კოლოკვიუმი „ აფრიკა ევროპაში: მიზეზები, შედეგები, პერსპექტივები.“საფრანგეთის მიგრაციული ვითარება ხასიათდება ასე: დემოგრაფიულ კვლევათა ეროვნული ინსტიტუტის თანახმად 1962 წელს საფრანგეთში იყო მარტო 20 000 იმიგრანტი სახარას სამხრეთი აფრიკიდან. 2004 წელს კი იყო 570 000 ასეთი იმიგრანტი ანუ 40 წელზე ცოტა მეტში მათი რაოდენობა 27-ჯერ გაიზარდა. სხვა ციფრების თანახმად საფრანგეთში არის საფრანგეთის მოსახლეობის 7%-ს. და ამ რაოდენობას დაუმატეთ მისი გამრავლების უნარი და ტემპი. საფრანგეთში ყოველ წელს შემოდის 40 000-ზე მეტი ლეგალური მიგრანტი და კიდევ არის აფრიკული არალეგალური იმიგრაცია. პოლიტიკური თავშესაფრის მთხოვნელთა 80–90%-ს უარს ეუბნებიან, მაგრამ მათ არ ასახლებენ ქვეყნიდან. გაუსახლებლებიც რჩებიან და საფრანგეთი ივსება უკანონოდ მცხოვრებლებით რომელთა დიდი ნაწილი აფრიკელია. უკანონოდ მცხოვრებლები კი ბოლოს და ბოლოს რეგულარიზებულები არიან (დაახლოებით 30 000 რეგულარიზაცია ყოველ წელს) და წყნარად განაგრძობენ საფრანგეთში ცხოვრებას. ეს იზიდავს ახალ უკანონო იმიგრანტებს. საფრანგეთში საცხოვრებლად ჩამოსულ იმიგრანტებს სულაც არ უნდათ გაფრანგება. მათ ურჩევნიათ საფრანგეთში თავისი საკუთარი წეს-ჩვეულებებით ცხოვრება. ბევრი ცხოვრობს მაჰმადიანური წესით. ყველა აფრიკელი ზანგი არაა მაჰმადიანი. ზოგი ანიმისტია, ზოგი კთოლიკე ქრისტიანი, უფრო ხშირად არიან ბაპტისტები. მიუხედავად ამისა აფრიკელ ზანგთა იმიგრაცია არის საფრანგეთში პროტესტანტული ბაპტისტური სექტების და გარეუბანთა ისლამის გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი. ეს იმიგრაცია საფრანგეთში ავრცელებს მრავალცოლიანობა-პოლიგამიას და ქალის სექსუალური ორგანოების დასახიჩრების რიტუალურ აფრიკულ წესს. აფრიკული შავკანიანი იმიგრაციას ახლავს კანონის უპატივცემულობა და ძალადობები. ჰენიტენციალური სტატისტიკის თანახმად 2016 წლის 31 დეკემბერს საფრანგეთის ციხეებში იყო 3827 უცხოელი აფრიკელი კანონის დარღვევაზე პოლიციის რეაქციას და უბედურ შემთხვევას ჯერ კიდევ 2005 წელს მოყვა ჯანყები. რეალობა ესაა: 2005 და 2007 წლებში საფრანგეთის ქალაქების გარეუბანთა შემძვრელ ჯანყებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ წარმოშობით აფრიკელი ახალგაზრდები. არაერთი ჯანყი განხორციელდა მათ მიერ მომდევნო წლებშიც. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ლიცეუმების ჩხუბებშიც და აგრესიებშიც. ფიზიკური ძალა და ფსიქოლოგიური ბატონობა ფენომენის დაანგარიშება ძნელია, მაგრამ ყველაფერი ქმნის ქალაქების გარეუბნებში და სახელმწიფო ტრანსპორტში აფრიკელთა ფიზიკური ბატონობის განცდას. ჯერ კოლეჯებში, ახალგაზრდა აფრიკელების უფრო ადრეული სიმწიფე მათ ევროპელ თანაკლასელებთან შედარები თ. ხშირია ახალგაზრდა აფრიკელების გაერთიანება ბანდებად. არსებობენ ეთნიკურად შერეული ბანდებიც, მაგრამ თითქმის ყველა ბანდაში ბელადი წარმოშობით იმიგრანტია.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ნატოს ოფისის თანამშრომლებმა შეცდომით აშშ-ს ბირთვული რაკეტების განლაგება გაასაჯაროეს

სპარსეთის ყურეში პოლიტიკური ამინდის გამოდარების ნაცვლად ვითარება ლამის ყოველდღიურად იძაბება. ერთ-ერთი მთავარი მოქმედი ქვეყანა ირანია. სიმართლე რომ ვთქვათ, ძირითადი დამნაშავე თუ ინიციატორი რეგიონში ვითარების დაძაბვისა ეს ქვეყანა ნამდვილად არ არის. ყველაფერი შარშან, ამერიკის შეერთებული შტატების ირანთან ბირთვული შეიარაღების პროგრამიდან ცალმხრივად გასვლის შემდეგ დაიწყო... ვითარება ორი კვირის წინ კიდევ უფრო მას შემდეგ დაიძაბა, როდესაც ბრიტანელებმა გიბრალტარის სრუტეში ირანული ტანკერი დააკავეს. მართალია, ბრიტანეთის ხელისუფლებამ განაცხადა, თუ დაამტკიცებენ, რომ სირიაში ნავთობი არ გადაჰქონდათ, გავათავისუფლებთო, მაგრამ გასულ კვირას გიბრალტარის სასამართლომ დაკავების ვადა გაუგრძელა ირანულ ტანკერს.

დანაქადი შეასრულეს ირანელებმა და ძალას ძალა დაუპირისპირეს. გასულ კვირას ორმუზის სრუტეში საერთაშორისო საზღვაო ნორმების დარღვევისთვის ირანელებმა ბრიტანული ტანკერი დააკავეს. ირანის მხარემ გაავრცელა ტანკერის დაკავების ამსახველი კადრები, სადაც კარგად ჩანს, რომ ოპერაციაში მათი შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ირანელთა განცხადებით, ბრიტანული ტანკერი არ დაემორჩილა მესაზღვრეთა მოთხოვნებს და არც პასუხობდა შეკითხვებს. ბრიტანელები საზღვაო წესების დარღვევას თავდაპირველად უარყოფდნენ. გასული კვირის მიწურულს კი იქაურ პრესაში, დაზვერვის ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტანკერს არასწორად კოორდინატები რუსეთის დაზვერვამ უკარნახა.

მომხდარი ინციდენტის შემდეგ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯერემი ჰანტი სასწრაფოდ დაუკავშირდა და ტელეფონით ესაუბრა აშშ-ის სახელმწიფო მდივანს მაიკლ პომპეოს. მას სურვილი ჰქონდა, ირანელებთანაც ესაუბრა, მაგრამ დიალოგი არ შედგა. ჯერემი ჰანტის განცხადებით, რაიმე სამხედრო ოპერაციის ჩატარებას არ განიხილავენ, მათი სურვილია პრობლემის დიპლომატიური გზით მოგვარება. თუმცა, ასევე, განაცხადა, რომ ირანელები სერიოზულ პრობლემას გადააწყდებიან.

ჯერემი ჰანტისვე განცხადებით, ტვირთების გადაზიდვა საერთაშორისო წყლებში უპრობლემოდ უნდა განხორციელდეს. მანამდე კი ბრიტანელები თავიანთი ქვეყნის დროშით მცურავ გემებს რეკომენდაციას აძლევენ, მაქსიმალურად

თავი აარიდონ ორმუზის სრუტეს. თუმცა, აპირებენ, ირანს მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაუწესონ და ამასვე ითხოვენ ევროკავშირის ქვეყნებისგანაც. ექსპერტების შეფასებით, თუ ევროკავშირის ქვეყნები ირანს სანქციებს დაუწესებენ, გაეროს და მათი მცდელობა პრობლემების დიპლომატიური გზით მოგვარებისა წყალში ჩაიყრება.

დიპლომატიური მიმოწერის გასაჯაროების შემდეგ, აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი განაწყენებული კი არის ბრიტანელებზე, მაგრამ მხარდაჭერას დაპირდა: „...ვაშინგტონი ლონდონს დაეხმარება, ბრიტანეთთან მჭიდრო კავშირი გვაქვს. მართალია, სპარსეთის ყურეში ბევრი ტანკერი არ გვყავს, სამაგიეროდ, იქ ჩვენი ბევრი სამხედრო გემია“, — განაცხადა ტრამპმა. ამასთან, ვაშინგტონი ირანთან, როგორც თანასწორ ქვეყანასთან, მოლაპარაკებას არ აპირებს და კვლავ თავის პირობებს სთავაზობს. შექმნილი ვითარება ექსპერტებმა „ტანკერების ომად“ მონათლეს.

როგორც ჩანს, აშშ სპარსეთის ყურეში სამხედრო ოპერაციის განხორციელებას კვლავ აქტიურად განიხილავს. ამერიკამ დაიწყო საუდის არაბეთში სამხედრო ბაზის აღდგენა, რომელიც ერაყში ომის შემდეგ, 2004 წლიდან, ფაქტობრივად, გაუქმებული იყო. ბაზის აღდგენას საუდის არაბეთი დათანხმდა. ახლა არაბეთის ბაზაზე 500 სამხედრო მოსამსახურეს გადაიყვანენ. ჯანშანტექნიკისა და ავიაციის გარდა, სამხედრო ბაზაზე სარაკეტო დანადგარ „პატრიოტსაც“ განათავსებენ.

ამერიკული პრესის ინფორმაციით, პენტაგონში მუშავდება საერთაშორისო სამხედრო ოპერაცია სახელწოდებით „შიში“. ოპერაციის დეტალები, თავისთავად, ჯერ უცნობია. უცნობია ასევე, თუ რომელი ქვეყნები მიიღებენ მონაწილეობას მოსალოდნელ ოპერაციაში. ერთი კი ცნობილია, რომ ომანის ყურეში აშშ-ის ავიამზიდები და სხვადასხვა სა, ხედრო გემების სოლიდური ძალებია გადასროლილი. პოლოტოლოგები და სამხედრო ექსპერტები რეგიონში საბრძოლო მოქმედებების დაწყების რეალურ საფრთხეს ხედავენ. თუმცა უჭირთ თქმა, ბრძოლები მხოლოდ რეგიონული იქნება თუ ახალ მსოფლიო ომში გადაიზრდება, რისი ალბათობაც საკმაოდ დიდი და რეალურია.

დიდ ბრიტანეთში აგორებული სკანდალის მიზეზი ორიოდე კვირის წინ, დახურული, საიდუმლო დიპლომატიური მიმოწერის გასაჯაროება გახდა, რასაც ახალი გაგრძელება მოჰყვა. ამჯერად თავი ნატოს ოფისის თანამშრომლებმა „გამოიჩინეს“. შეცდომით თუ უყურადღებობით, ნატოს ოფისის თანამშრომლებმა გაასაჯაროეს აშშ-ის ბირთვული (ფაქტობივად, ატომური) რაკეტების განლაგების ადგილები. როგორც ცნობილი გახდა, აშშ-ს ევროპაში 150 ბირთვული რაკეტები 5 ქვეყნის 6 სამხედრო ბაზებზე აქვს განთავსებული — 2 იტალიაში არსებულ აშშ-ის ბაზებზე, ბელგიაში, გერმანიში, ნიდერლანდებსა და თურქეთში. საიდუმლო არც დღემდე იყო, რომ აშშ-ს ევროპაში ბირთვული რაკეტები ჰქონდა, მაგრამ მათი ზუსტი ადგილმდებარეობა საიდუმლოდ რჩებოდა. სწორედ ეს გარემოება გახდა სკანდალის მიზეზი. ნატოს ოფისი დუმილის რეჟიმშია და მხოლოდ იმას აცხადებს, რომ შეცდომა მოხდა.

საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება: აშშ-ის ბირთვული რაკეტები, როგორც ვხედავთ, თურქეთშიც არის განთავსებული. ქვეყანაში, რომალიც ნატოს წევრია და ალიანსიდან პირველმა შეიძინა რუსეთისგან ჰაერსაწინააღმდეგო დანადგარები S-400. ქვეყნისგან, რომელიც ნატოს პოტენციური მოწინააღმდეგეა. იმის გარდა, რომ თურქეთს უკვე გაიყვანენ ალიანსის საჰაერო დაცვის სრულფასოვანი წევრობიდან და აღარც F-35 ტიპის თვითმფრინავებს მიყიდიან, სხვა კიდევ უფრო მკაცრი სანქციების დაწესებაზე მსჯელობენ. ექსპერტების ვარაუდით, გაბრაზებულმა თურქეთმა რომ დატოვოს ნატო, ალიანსისსთვის ეს დიდი დარტყმა იქნება. რუსეთის მიერ **S-400-ის თურქეთისთვის მიყიდვას გერმანული პრესა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის საგარეო პოლიტიკის ტრიუმფად აფასებს. აშშ-ის პრესის თქმით კი „რუსეთმა შეიარაღების საკითხში ჯეკპოტი მოხსნა“**. ევროპულ პრესაში კი წერენ, რომ რიგი ქვეყნები სერიოზულად დაფიქრდნენ, არიან კი მზად, დაუთმონ თავიანთი ტერიტორიები აშშ-ს ბირთვული რაკეტების განსათავსებლად. როგორც ვხედავთ, სამყარო სრულ გაურკვევლობაშია.

გასულ კვირას იტალიის ქალაქ ტურინში დაკავეს რამდენიმე რადიკალი. ფაქტობრივად, ფაშიზმის მიმდევრები. ჩხრეკისას პოლიციამ დიდი რაოდენობის იარაღი ამოიღო, მათ შორის, „ჰაერი-ჰაერის“ ტიპის რაკეტა. წინასწარი მოკვლევით, იარაღი იტალიაში უკრაინიდან არის შეტანილი. პოლიციის ინფორმაციით, მზადდებოდა ტერაქტი ვიცე-პრემიერისა და შინაგან საქმეთა მინისტრის მატეო სალვინის წინააღმდეგ. მოსალოდნელი სავარაუდო ტერაქტი კი აღკვეთეს, მაგრამ იტალიაში ეძებენ დაკავებულთა თანამზრახველებს, წინასწარი ინფორმაციით, უკრაინელ რადიკალებს. ვფიქრობ, დამაფიქრებელი ფაქტია ჩვენი სამართალდამცავებისთვისაც, რადგან 20–21 ივნისის არეულობისას პარლამენტის შენობასთან თბილისში უკრაინული დროშები ფრიალებდა.

გია ბურდული
551 71 27 07

ერიხ მარია რემარკის საყვარელი ქალები

მოცეკვავე იუტა

ცნობილი მწერლის ერიხ მარია რემარკის პირად ცხოვრებას იოლს ვერ უწოდებ. თანამედროვე ფსიქოანალიტიკოსები კითხვაზე, რატომ იყო მისთვის შეუძლებელი მყარი და ხანგრძლივი ურთიერთობების დამყარება, პასუხს აუცილებლად იპოვიდნენ.

შესაძლოა, საქმე ის გახლდათ, რომ რემარკის ადრეული ბავშვობა ბედნიერი სულაც არ იყო, რადგან დედას ყველა შვილზე მეტად უფროსი ვაჟი, არტური უყვარდა. როდესაც ერიხი სამი წლის იყო, არტური გარდაიცვალა, დედა კი ღრმა დეპრესიაში ჩავარდა და შვილებს ყურადღებასაც არ აქცევდა.

ერიხს ამ დროიდან დარჩა იმის შეგრძნება, რომ ის არავის სჭირდება და არ უყვართ, რამაც პირად ცხოვრებაში ბევრი პრობლემა მოუტანა...

მარტოობის საუკეთესო წამლად იგი წიგნებს თვლიდა, რომლებსაც ხარბად კითხულობდა, მათ შორის დოსტოევსკის, ტოლსტოის, გოეთეს, ცვაიგს. წიგნების კითხვას კი ზოგჯერ იქამდე მივყავართ, რომ ადამიანი იწყებს რაღაც წიგნისმიერი იდეალის ძებნას, რომელიც ცხოვრებაში, უბრალოდ, არ არსებობს...

და თავად რემარკიც, რომელმაც ადრევე დაიწყო საკუთარი აზრებისა და სურვილების ქაღალდზე გადატანა, ქმნიდა ქალთა სახეებს, რომელთა პროტოტიპები სინამდვილეში სულაც არ იყვნენ იდეალურები. მაგრამ რემარკი საკუთარ იდეალს არამარტო წიგნებში, არამედ ცხოვრებაშიც ეძებდა. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოცეკვავე იუტა ცამბონას გაცნობამ. ეს ნაზი, დიდთვალება გოგონა მისი რამდენიმე გმირის პროტოტიპი გახდა, მათ შორის პატრიციას ჰოლმანისა „სამი მეგობარიდან“. იგი ზუსტად პატრიციასავით გამოიყურებოდა — მაღალი, ჩამოქნილი ტანით, ხოლო „დიდი თვალები მის ნაზ და ფერმკრთალ სახეს ვნებიანობისა და ძალას სძენდა. იგი ძალიან ლამაზი იყო“.

სიფერმკრთალე და ჩამოქნილი ტანი ტუბერკულოზის შედეგი იყო, რითიც იუტა იყო დაავადებული.

მათი სასიყვარულო ისტორია რამდენადმე განსხვავდებოდა „სამი მეგობარის“ გმირთა ურთიერთობებისგან. ამაღლებული ტრაგიკული კავშირის ნაცვლად ეს სრულიად ჩვეულებრივი სურვილი იყო ერთად ყოფნისა. 1925 წლის 14 ოქტომბერს ისინი შეუღლდნენ.

რემარკი ქორწინებიდან მალევე ერთ-ერთ წერილში წერდა: „და მაინც, ეს უცნაური ნაბიჯი იყო. მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მწერლები იტყუებიან. ჩემს ნაბიჯში უფრო მეტი ადამიანური იყო, ვიდრე ეგოისტური სურვილი ბედნიერებით ტკბობისა... ბედნიერების ცნება ჩემთვის წლებთან ერთად შეიცვალა: ყმაწვილური სურვილი წყურვილის მოკვლისა, არსებობის სიგიჟეებისადმი გამოწვევის სიხარულით აღსავსე მზადყოფნამ შეცვალა. ქორწინებამაც კი, ყველა ნორმალური მოქალაქის ცხოვრების კულმინაციურმა მომენტმა, ვერ მოახდინა გავლენა ამ ჩემს განწყობაზე. ჩემს გვერდით ახლა არის ადამიანი, რომელსაც, შესაძლოა, ძალზე ვუყვარვარ, მე კი ვეცდები, მას გზიდან ყველა საზიზღრობა და უხამსობა მოვაშორო“.

მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, ოცნებები რეალობას შეეჯახა და დაიმსხვრა. ორივე მეუღლემ ძალიან მალე დაიწყო ერთმანეთის ღალატი, რასაც ხშირი უსიამოვნებები მოჰყვა.

ხუთი წლის შემდეგ მათ დაშორება გადაწყვიტეს, მაგრამ განქორწინების შემდეგაც კი ვერ მოახერხეს საბოლოოდ დაშორება, ისინი დასასვენებლად ერთად დადიოდნენ. იუტას არ უნდოდა ერიხის დაკარგვა, მაგრამ, ამასთან, ის მას ძალიან აღიზიანებდა.

ერიხი დღიურში წერდა: „დილით ვიჩხუბეთ. არა ჩემი მიზეზით. განებივრებული ბავშვია, რომელიც უკან დახევას მიჩვეული არ არის, ძალიან მგრძნობიარე და ჭირვეულია. და ყოველთვის დარწმუნებულია საკუთარ სიმართლეში“. მაგრამ რემარკი ყოველთვის გალანტურად ექცეოდა ცოლს, მაშინაც კი, როცა საბოლოოდ დაშორდნენ და ფულითაც ეხმარებოდა მას. 1938 წელს კი კვლავ შეირთო იუტა, რათა ფაშისტური გერმანიიდან თავის დაღწევაში დახმარებოდა.

ბრწყინვალე პუმა

მაგრამ რემარკის უდიდესი სიყვარული მარლენ დიტრიხი იყო. ისინი ერთმანეთს 1937 წელს შეხვდნენ საფრანგეთში. ორივემ ბევრი იცოდა ერთმანეთის შესახებ. ცნობილი კინოვარსკვლავისა და გამოჩენილი მწერლის რომანი მეყსეულად დაიწყო.

რემარკი იმ დროს „ტრიუმფალურ თაღზე“ მუშაობდა და რომანის მთავარმა გმირმა ჯოან მადუმ მარლენ დიტრიხის ბევრი შტრიხი შეითვისა. ეს ვნება ძალიან ძლიერი და ტრაგიკული იყო, რადგან მარლენიც და ერიხიც ძალიან რთული ნატურები იყვნენ და, გარდა ამისა, ერთგულების გრძნობა არ გააჩნდათ და ღალატით დიდ ტკივილს აყენებდნენ ერთმანეთს. მაგრამ ეს ნამდვილი სიყვარული იყო.

რემარკის წერილები მარლენ დიტრიხის, ანუ პუმას მიმართ, როგორც მას ერიხი ეძახდა, სიყვარულის მწვერვალად შეიძლება ჩაითვალოს: „ჩემო ძვირფასო! ჩემო ანგელოზო დასავლეთის ფანჯრიდან, ჩემო ნათელო სიზმარო! ჩემო ოქრო, ჩემო მწვანეთვალება! ჩემო პატარა მოგზაურო, ჩემო მუშაკო, მუდმივად რომ ფულს გამოიმუშავებ! თბილად გაცვია თუ არა? ვინმე თუ ზრუნავს შენზე? გთხოვ, არ დაგავიწყდეს ხელთათმანების ჩაცმა, თორემ ნაზი თითები გაგეყინება... საყვარელო, არ ვიცი, აქედან რა გამოვა, მაგრამ არაფრის ცოდნა არ მინდა. მე ვერ წარმომიდგენია, რომ ოდესმე ვინმე სხვა შემიყვარდება. მე მხედველობაში მაქვს, არა შენსავით, არამედ, ოდნავადაც კი“.

თუმცა, კრიტიკოსების მიერ XX საუკუნის უდიდეს რომანად აღიარებული სასიყვარულო ისტორიაც დასრულდა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მარლენ დიტრიხმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა: „ეს ჩემი ცხოვრების უდიდესი სიყვარული იყო “.

უკანასკნელი სიყვარული

რემარკი უკვე ახალგაზრდა აღარ იყო და, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქალს ხვდებოდა, გულში არავის უშვებდა, რათა სიმშვიდე შეენარჩუნებინა. ამასთან, მას თან სდევდა საშინელი დეპრესიები, რასაც ალკოჰოლით ებრძოდა. თავის დღიურში იგი წერდა იმის შესახებ, რომ მომავალი ძალიან პირქუშად და უღიმღამოდ ეჩვენება და ამიტომ სიცოცხლეს აზრი აღარ აქვს...

მაგრამ 1951 წელს, როცა მწერალი უკვე 53 წლის იყო, მან კიდევ ერთი ცნობილი მსახიობი პოლეტ გოდარი გაიცნო, რომელიც ჩარლი ჩაპლინის ყოფილი ცოლი იყო. ამ ქალმა, რომელიც „სიცოცხლეს ასხივებდა“ რემარკი დეპრესიისგან გადაარჩინა.

როდესაც თავის რომანს „სიცოცხლის ნაპერწკალი“ ასრულებდა, ერიხი წერდა: „ყველაფერი კარგად არის. ნევრასთენია აღარ არის. არ არის დანაშაულის გრძნობა. პოლეტი ჩემზე კარგად მოქმედებს“. მწერალმა გადაწყვიტა, ქალთან ერთად გერმანიაში, საკუთარ სამშობლოში წასულიყო, სადაც 30 წელი არ იყო ნამყოფი, მანამდე მას ძალიან ეძნელებოდა საკუთარი სიყმაწვილის ადგილებში დაბრუნება.

პოლეტის გვერდით მან შეძლო მარლენ დიტრიხისგან თავის დაღწევა, მაგრამ მაინც ვერ დაივიწყა ის. ერთხელ ერიხი და მარლენი ერთმანეთს შეხვდნენ და რემარკმა თავის დღიურში ჩაწერა: „შესანიშნავი ლეგენდა აღარ არსებობს. ყველაფერი დასრულდა. ის ბებერია. დაკარგული. რა საშინელი სიტყვაა“.

პოლეტთან დაქორწინების გამო რემარკი ოფიციალურად გაეყარა იუტას, მას დიდი თანხა გადაუხადა და სტიპენდია დაუნიშნა. 1958 წელს პოლეტი და ერიხი დაქორწინდნენ.

პოლეტი იმდენად კარგ ზემოქმედებას ახდენდა მწერალზე, რომ მან დღიურის წერაც კი შეწყვიტა, რომელშიც ადრე დაწვრილებით აღწერდა საკუთარ მარტოობას და დეპრესიის შემოტევებს.

რემარკი ნაყოფიერად მუშაობს, ბევრს კითხულობს და მომავლის სჯერა. ცოლს წერს სინაზით აღსავსე წერილებს და ხელს ასე აწერს: „შენი სამუდამო ტრუბადური, ქმარი და თაყვანისმცემელი“. პოლეტი და ერიხი ბევრს მოგზაურობდნენ მსოფლიოში, მაგრამ მწერლის ჯანმრთელობა უარესდებოდა.

1970 წელს ერიხ მარია რემარკი შვეიცარიაში გარდაიცვალა. მარლენ დიტრიხმა ვარდები გამოგზავნა, მაგრამ პოლეტმა ისინი მწერლის საფლავზე არ დააწყო — რემარკის სიკვდილის შემდეგაც ქალებს ის უყვარდათ და ეჭვიანობდნენ მასზე. ეს სულაც არ არის გასაკვირი — რემარკის წიგნების წყალობით ხომ მათი სიყვარული უკვდავებაში დარჩა...

მოამზადა
ბელა გველესიანმა

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ
შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001

http://www.saertogazeti.ge